6431
1988/2



# საქართველოს ქალი

11 ISSN 0821-1509
1988

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურჭულაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ქუჩანია, პეტრე ჟღენტი, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეჭირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — დიმიტრი ხახუტაშვილი — „მომავალი თაობა"; მეოთხეზე — ჯ. დათუაშვილის ფოტოეტიუდი „შემოდგომა".

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გულნაზ და გურამ გულბანების ოჯახი



ახალი სკოლა

# სვანების ახალი ცხოვრება

18783

ქვეყანა შეძრა 1986-1987 წლების სვანეთის ტრაგედიამ. თოვლის ტყვეობაში აღმოჩნდა ეს ეგზოტიკური მხარე. დიდის მკერდს მოსწყვიტეს იგი. უზარმაზარმა ზვავებმა ზათქით გადაუარა სოფლებს, ირგვლივ მოსრა ყველაფერი, დაინგრა სახლები, იყო მსხვერპლიც. ერთ მუშტად შეიკრა მაშინ საქართველო. პირადად ჯ. ი. პატიაშვილი, რესპუბლიკის ხელმძღვანელები შემთხვევის კვალზე ჩავიდნენ სვანეთში. დააშოშმინეს მოსახლეობა, დაღუპულთ პატივი მიაგეს, უსახლკაროდ დარჩენილი ქალები, ბავშვები, მოხუცები გახიზნეს უსაფრთხო ადგილებში. მათ ყველა პირობა შეუქმნეს, რათა ადვილად გადაეტანათ მიყენებული მძიმე ტრავმა. სასწრაფოდ გადაწყდა სამი ათასამდე სვანი ოჯახის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში დასახლება. მალე საქართველოს რუკაზე გაჩნდება ახალი გეოგრაფიული სახელები.

## ლემშვანიერა

გარდაბნის რაიონში, სოფელ ჯანდარის მახლობლად ვრცელი სამშენებლო პოლიგონია გადაშლილი. გამოყოფილია 350 საკარმიდამო ნაკვეთი, შენდება 350 სახლი. ბევრის მშენებლობა უკვე დასრულდა.

— უფრო გულდასმით რომ დაათვალიეროთ ლემშვანიერა, მოდით, სოფლის ყველაზე მაღალ წერტილზე ავიდეთ, — გვითხრა ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორმა ავთანდილ მარგიანმა. ახსნა-განმარტებას მასთან ერთად მშენებლობის დარგში მისი მოადგილე ომარ პატარაია იძლეოდა:

ლემშვანიერა სვანური სიტყვაა, თქვა მან, და „მთელ სვანეთს" ნიშნავს. მართლაც, ამ მიწა-წყალზე დაფუძნდებიან მესტიის რაიონის 70 სოფლის მკვიდრნი. აქ იცხოვრებს 350 ოჯახი. უმეტესობამ უკვე გამართა კერია. იგი ყველაზე დიდი სოფელია მათ შორის, რომლებიც სვანი ლტოლვილებისათვის შენდება ჩვენში.

ამასობაში ჩვენ უკვე სოფლის თავში ვართ, იქ, სადაც ამაყად აღმართულა რუხი ქვით ნაგები სვანური კოშკი. იგი შვიდსართულიანი სახლის სიმაღლეა. მისი აგება მაშინ დაიწყეს, როცა მშენებლებმა აქ პირველი საძირკველი ჩაყარეს. ეს ნიშანდობლივია — სვანები ამბობენ, ეროვნული კერა კოშკით იწყებაო.

აქედან მართლაც თითქმის მთელ სვანეთს გავყურებთ: მულახი, ბეჩო, მესტია, ადიში, უშგული... თავიანთი სამკვიდროს მიხედვით განულაგებიათ საცხოვრებელი უბნები, და გონივრულადაც მოქცეულან. თანასოფლელები აქაც თანასოფლელებად დარჩენილან, ხოლო მეზობლები — მეზობლებად. მშობლიური სოფლის სახსოვრად კი მის სახელსაც შეინარჩუნებენ. ოჯახები ძმურად, მეგობრულად ეხმარებიან ერთმანეთს, ვისი სახლის აგებაც უკვე დამთავრდა, მეზობელს ეხმარება.

ჩვენ დავათვალიერეთ რამდენიმე სახლკარი, შევხვდით ახალმოსახლეებს, გავიცანით ციალა გასვიანი. მას დიდი ოჯახი აქვს — რვა შვილის დედაა. წლეულს შესახლდა ორსართულიან კოტეჯში, რომელსაც აქვს სამზარეულო, ექვსი ოთახი, ორი აივანი, სააბაზანო, ტუალეტი ორივე სართულზე, სარდაფი, გარაჟი — ჩინებული სახლია. ციალა მეცხოველეობის კომპლექსში მუშაობს. შვილები ეხმარებიან. ეზოც კარგად მოუწყვია, დაურგავს ხეხილი, ვაზი, მოჰყავს ბოსტნეული. ფერმაში მუშაობენ ხუთი შვილის დედა ვერა ხარძიანი, ვენერა ონიანი, ნატო ხარძიანი... ალექსანდრა ჯაფარიძეს საოჯახო ბრიგადა შეუქმნია, ეხმარებიან ქმარი და შვილები, 400 სულ პირუტყვს უვლიან, რომელთა საშუალო სადღეღამისო წონამატება 600 გრამზე მეტია საგეგმო 400 გრამის ნაცვლად. ალექსანდრა ჯაფარიძის ოჯახი თვეში საშუალოდ 1500 მანეთამდე ხელფასს იღებს. ოჯახი შეძლებულად ცხოვრობს. შეიძინეს ავეჯი, გაიჩინეს ძროხა, ღორი, ფრინველი.

ლემშვანიერაში გამრავლდა ქორწილებიც, ძეობაც. მაიზერ ჯაფარიძემ აქ გაიცნო გულისსწორი ცინარა კაკრიაშვილი. მეცხოველეობის კომპლექსმა კომკავშირუ-

ლი ქორწილი გადაუხადა, ინეზა და მირონ ცინდელიანებს ორი ვაჟი ჰყავდათ: გეგი და ლერი, მესამეც შეეძინათ — კობა დაარქვეს. ისე კი უკვე ათი ქორწილია გადახდილი და ამდენივე ბავშვი დაიბადა. ამ შემოდგომაზე ქორწილები გამრავლდება. ბევრი ახალდაქორწინებულთა ოჯახი შვილის მოლოდინშია. ცხოვრება გრძელდება... აქაურმა მკვიდრებმა უნდა გააშენონ ბაღები, კეთილმოაწყონ კარ-მიდამო, რასაც ამჟამად უყრიან საფუძველს.

ლემშვანიერა მარტოოდენ ორსართულიანი კომფორტული სახლები როდია. ახალი სოფლის განვითარების გეგმის მიხედვით ლემშვანიერა — ეს არის საშუალო სკოლა 860 მოსწავლისათვის, კულტურის სასახლე 600 მაყურებლისათვის, საბავშვო ბაგა-ბაღი, ამბულატორია, სამი აბანო, საყოფაცხოვრებო სახლი, სპორტული კომპლექსი, რომელსაც ექნება ორი სპორტული დარბაზი და საცურაო აუზები. ეს არის სათხილამურო ტრანპლინიც, რომლის აშენებასაც აპირებენ სოფლის თავში, იმ ადგილას, სადაც ამაყად წამოჭიმულა ზემონახსენები ზვიადი სვანური კოშკი. აქვე შეიქმნება ახალგაზრდული კულტურის ცენტრი, გაიხსნება საგამოფენო დარბაზი. კოშკის პირველ სართულზე უკვე დაიდო ბინა აზერბაიჯანელ რაჰიპ მამედოვის, იმ ჯარისკაცის მუზეუმმა, რომელიც ხობის რაიონში წყალდიდობით დატრიალებული უბედურების დროს დაიღუპა.

და ბოლოს, მომავალი ლემშვანიერა ეს არის მომავალი მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმო განვითარებული ეკონომიკით.

## ტანძია

სულხან-საბა ორბელიანის სამკვიდრო. მსახვრალმა მიგრაციამ თითქმის დაშლამდე მიიყვანა სოფელი, მხოლოდ ორიოდე ბუხრიდან ამოდიოდა კვამლი.

— არა, ტანძია არ უნდა მოკვდეს! — თქვა ამ რამდენიმე წლის წინათ პარტიის ბოლნისის რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა თეიმურაზ ხაზარაძემ. მას პირველმა შუქრი დევნოზაშვილმა აუბა მხარი. შუქრი ახლა ამ რაიკომის პირველი მდივანია, იშვიათია დღე, ტანძიას რომ არააკითხოს.

1982 წელს აქ გაიხსნა სკოლა, რომლის კონტინგენტს ოთხი მოსწავლე შეადგენდა. ახლა კი ერთდროულად შენდება 264-ადგილიანი საშუალო და 80-ადგილიანი რვაწლიანი სკოლები. რამ გამოიწვია ამის საჭიროება?

სტიქიის მიზეზით ლტოლვილ სვანებს ბოლნისიც სტუმართმოყვრულად დახვდა, მოათავსეს მეფრინველეობის ფაბრიკის კოპწია დასახლებაში აგებულ სახლებში და თანაც აღუთქვეს: თქვენი მომავალი საცხოვრებელი ტანძია იქნებაო. აბა, ვის არ გაუხარდებოდა დიდი საბას სამემკვიდრეოში ოჯახის გამართვა. ახლა აქ შენდება 150 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, უფრო სწორად, ორ მესამედზე მეტი უკვე მზადაა — ორი ბაგა-ბაღი, სამასადგილიანი კლუბი, მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, ფოსტა, ამბულატორია, სასადილო, სპორტული მოედნები, ფართოვდება წყალსადენი, სოფელს ექნება ცენტრალური გათბობა...

სოფელში მისვლისთანავე მშენებლები მოვიკითხეთ. აი ისინიც, გვითხრა ამ სოფლის პირველმოსახლე სვანმა ვახტანგ ბერიანმა და იქით წაგვიძღვა, სადაც ბოლნისის რაიონის აგრომშენი აშენებს სახლებს. აშენებენ მკვიდრად, საგულდაგულოდ, უკვე ყველა გადახურულია, ახლა შიდა მონტაჟი მიმდინარეობს.

მშენებლობას გამოცდილი ინჟინერი თემურ წერეთელი ხელმძღვანელობს. ყველაზე უკეთ მას აქვს საქმე. ოცდაათ სახლს აშენებს. ყველა ასე რომ მუშაობდეს, მომავალ ზამთარში ჩვენი სოფელი ხალხით აივსებოდა. საშუალო სკოლის მშენებლობაც ამ ორგანიზაციას აკისრია. მისი მშენებლობის ტემპიც კარგია. ერთი სიტყვით, ბედნიერი არიან ოჯახები, რომელთა სახლების აგება თემურ წერეთლის მშენებლებს ხვდათ წილად.

ტანძიაში სოფელ მულახიდან გადმოსახლებულნი იცხოვრებენ. ესენი ნავერიანები, დადვანები, გუჯეჯიანები, გულდანები არიან. ზოგიერთებს უკვე გაუჩაღებიათ კერია, სხვები კი ახალი სახლების გასაღებს ელიან. ნარგიზა დადვანს ვესაუბრეთ: როგორ შეეჩვიეთ აქაურობას?

— თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ რა გაეწყობოდა: მერე ადგილობრივი მოსახლეობა, ძველი ტანძიელები დაგვიახლოვდნენ, მხარში ამოგვიდგნენ, რითაც კი შეუძლიათ, გვეხმარებიან, გვასწავლეს, რა ხარობს უკეთ, და აი, ხომ ხედავთ, ნაირნაირი ბოსტნეული, გოგრა, კიტრი, პამიდორი უხვად გვაქვს.

ეტყობა გამრჯე ოჯახია. რომ შევეკითხე: რა პრობლემები გაქვთ-მეთქი, არავისზე ნაწყენი სიტყვა არ უთქვამს, ეს კი მითხრა, მულახში ეკონომისტად ვმუშაობდი და აქ ჯერჯერობით ჩემი სამუშაო არ არისო. ეს ვთქვი რაიკომში. იქ მითხრეს: ამაზე ჩვენ ვზრუნავთ, მალე ყველას შესაფერისი სამუშაო ექნებაო.

ტანძია აღორძინდა, მკვდრეთით ადგა...

## დმანისი

ავბედითია დმანისის ისტორიაც. ქართლის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციხე IV—V საუკუნეებში აშენდა, მეექვსე საუკუნეში აქ დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა. შემდგომში დმანისმა მრავალი რბევა განიცადა, ქართული მოსახლეობა ძირითადად კახეთსა და ზემო ქართლში გაიხიზნა.

სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო, და მშობლიურ მიწას უბრუნდება სამასი ქართული ოჯახი. ესენი ჭუბერელი სვანები არიან.

ახლახან აქ მოეწყო დიდი სახალხო ზეიმი, რომელიც ძველ ქართულ მიწა-წყალზე სვანების ჩამოსახლებას მიეძღვნა. მისი მოთავე პარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ომარ ელოშვილი გახლდათ. ასეთი ზეიმი ყოველი წლის სექტემბერში გაიმართება.

სულ რაღაც ერთი წლის მანძილზე ქართველების სისხლით მორწყულ დმანისის ველზე სამასი ხუთ, ოთხ და სამთვალიანი ორსართულიანი სახლები წამოიმართა. აქ იზრუნეს მოსახლეობის შრომითი მოწყობისათვისაც. ისინი, გარდა დმანისის დაწესებულებებისა, უმთავრესად იმუშავებენ აგურის ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფილიალში, რომლებიც შენდება. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა კი აქ ქმნის დიდ მეცხოველეობის კომპლექსს.

— სვანები ძირძველი მეცხოველეები არიან, აირჩიონ, რაც სურთ, — გვითხრა პარტიის დმანისის რაიკომის მეორე მდივანმა ლარისა მეგრაბიანმა.

დმანისში იმ დროს გახლდით, როცა ყველა მშენებლობაზე შრომა მთელი სიმძლავრით იყო გაშლილი. ზოგიერთი მშენებლის მიმართ აქ სერიოზული პრეტენზიები აქვთ, მაგრამ გვთხოვეს, ამჯერად დავინდოთ, ნუ გავაკრიტიკებთ, ყველა გვპირდება, რომ ამ ზამთარს სასტუმროებსა და საერთო საცხოვრებლებში არც ერთი ოჯახი აღარ შეხვდებაო, ჩვენც გადავწყვიტეთ მოთმინებით დაველოდოთ, თუმცა არა მგონია ზოგიერთმა მშენებელმა სიტყვა არ გატეხოს. ისე კი, გაგვიხარდა, რომ მრავალშვილიან ოჯახებზე მაინც უპირველესად უზრუნიათ. გავიცანით თენგიზ ჩხეტიანის მეუღლე მზია, რომელიც შვიდი შვილის დედაა და შვიდივე ქალიშვილია. მისთვის ყველაზე დიდი ბინა დაუთმიათ. ზოია და ჯამლეთ ვიბლიანები მთელ დმანისში იმით გახდნენ ცნობილი, რომ პირველი დმანისელი სვანი მათ ოჯახში გაჩნდა. ეს გახლდათ პატარა ბექა. პრობლემებზე ვისაც ვკითხე, დავრწმუნდი, რომ ყველას ერთნაირად აინტერესებს რა დაარქვან ახალ სოფელს, ამოქმედდება თუ არა დმანისის უძველესი ეკლესია.

* * *

საგარეჯოს რაიონის სოფელი უდაბნო, ბოლნისის რაიონის თამარისი და კაზრეთი, მარნეულის რაიონის წერაქვი და თამარისი თეთრი წყაროს რაიონის დურნუკი, გოლთეთი, ახალი ორბეთი, წყალტუბოს ზონის სოფელი საყულია, მახარაძის რაიონის სოფელი ასკანა, დუშეთის რაიონის სოფელი არაგვისპირი, გარდაბნის რაიონის სოფელი ნაგები — აი კიდევ ის ადგილები, სადაც სამუდამოდ დამკვიდრდებიან ჩამოსახლებულ სვანთა ოჯახები, იხარებს ახალნერგი, ძველ ქართულ მიწაზე დაიწერება ახალი ისტორია.

**დავით ბიწაძე**

# დედაბოძი ერისა

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში საქსახაგრომრეწვის პრესცენტრთან ერთად მოეწყო „მრგვალი მაგიდა“ თემაზე: „სოფლად ქალის შრომის ეფექტიანობის გაზრდა და სოციალური საკითხები“. ერთობლივ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მერი მდივანმა, გეგეჭკორის რაიონის სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მეჩაიემ, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, ლენინის ორდენოსანმა ლუდიკო ბართაიამ, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეძროხეობის საიჯარო ბრიგადის თავკაცმა დავით ბოსტოლანაშვილმა, ამავე ბრიგადის მწველავმა, სოციალისტური შრომის გმირმა ზაირა ალხანიშვილმა, კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა, საკავშირო XIX პარტკონფერენციის დელეგატმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა, ლენინის ორდენოსანმა ნათელა ბუთხუზმა, სიღნაღის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის ნუკრიანის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, საკავშირო და საქართველოს კომკავშირის პრემიების ლაურეატმა ლალი ოტიაშვილმა, თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტმა ვენერა ჩოთალიშვილმა.



„მრგვალი მაგიდის“ მონაწილენი: ნათელა ბუთხუზი, მერი მდივანი, ზაირა ალხანიშვილი, დავით ბოსტოლანაშვილი, ლუდიკო ბართაია, ვენერა ჩოთალიშვილი, ლალი ოტიაშვილი.

**მარიკა ბარათაშვილი** — ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი: „მრგვალი მაგიდის“ მონაწილე რესპუბლიკის ამაგდარ ქალებს კარგად მოეხსენებათ, რომ ამჟამინდელი გარდაქმნები სოფლად სათავეს იღებს პირველი კომუნების შექმნის დროიდან, როცა საძირკველი ჩაეყარა საკოლმეურნეო სოფელს და პირველი ნაბიჯები გადადგა ჩვენმა გლეხობამ ახალი ცხოვრების გზაზე. ლენინური კოოპერაციული გეგმა სოფლად გარდაქმნის მთელი სისტემაა, ერთადერთი სწორი გზაა, რომელმაც გაუძლო ყოველგვარ გამოცდას.

ქართველი ქალი, სოფლად დოვლათის შემქმნელი, დამბადებელი სიცოცხლისა და აღმზრდელი შვილებისა, დედაბოძია ერისა. მას განუზომელი წვლილი შეაქვს სოფლისა და ქვეყნის მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და იერსახის შეცვლაში. ძნელია სოფლად ქალის შრომის ეფექტიანობაზე ლაპარაკი იქ, სადაც არა აქვთ საბავშვო ბაღები და სკოლები, საცხოვრებელი სახლები და გზები, სადაც მოგვარებული არ არის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები, სადაც ადამიანები გულს ვერ უდებენ საქმეს და განზე გარბიან საშოვარზე.

**მ. მდივანი:** ქალბატონი მარიკა მართალია. გადაჭარბებულად ნურავინ ჩაგვითვლის და ნორიოელ მეფრინველეთა ყველაზე პოპულარული სიტყვა „კეთილმოწყობაა“, ჩვენი ქალაქის ტიპის დასახლება, სადაც თბილისის სამარშრუტო ავტობუსი ღამის თორმეტ საათამდე დადის, მშრომელთა ენთუზიაზმის შედეგია. მობრძანდით და ნახეთ, ყველგან იგრძნობთ განახლების კვალს და იმას, რომ ადამიანებმა საკუთარ სახლში წესრიგის დამყარება იწყეს. რა ქმნის ადამიანის განწყობილებას? ბინა, სურსათ-სანოვაგე, ჩაცმა-დახურვა, ყოველდღიური სახმარი საგნები და მომსახურება, ტკბილი სიტყვა და მზრუნველი დამოკიდებულება. და განა მტკიცება უნდა იმას, რომ სოფლად მცხოვრები უფრო მწვავედ განიცდის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგის ნაკლოვანებებს.

თითოეულმა ჩვენგანმა გულში ჩაიხედოს და თქვას: რა ქნას ქალმა, რომელსაც ბავშვი ჰყავს გასაზრდელი. ადრე ბებიები გვყავდა ოჯახში და ისინი იყვნენ ჩვენი „ბაგა-ბაღები“. ზუსტად თხუთმეტი წლის წინათ დავიწყე მუშაობა. ნორიოელებს საბავშვო ბაღი გაუთბობელ ფინურ სახლში ჰქონდათ, სკოლას კი საცხოვრებელი სახლის ოთხი ოთახი ეჭირა.

მაშინდელმა განათლების მინისტრმა ოთარ ქინქლაძემ მხარი დამიჭირა. რვაწლიანი სკოლა ავაშენეთ, რომელიც ორ წელიწადში საშუალოდ გადავაკეთეთ. საბავშვო ბაღიც კაპიტალურ შენობაში შესახლდა. უბინაოდ არავინ დამხვედრია, მაგრამ ყველა ოჯახი თითო ოთახში ცხოვრობდა. ბინათმშენებლობა ჩვენი „მეორე ფრონტია“. დღეს ჩვენს დასახლებას ვერავინ დაიწუნებს. ქალაქის ტიპის სახლებიც გვაქვს და საკარმიდამო ნაკვეთებიც.

თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს ძროხა. ამ დღეებში ამუშავდა ორასნომრიანი სატელეფონო სადგური და ამოქმედდა ახალი 140-ადგილიანი ბაგა-ბაღი, რომელსაც აქვს დახურული საცურაო აუზი. საახალწლოდ ორ 32-ბინიან საცხოვრებელ სახლს გავანაწილებთ. საშუალება გვაქვს ახლად დაოჯახებულებს სამოთახიანის გასაღები ჩავაბაროთ. მომავალი წლისათვის კი დასრულდება კულტურის სახლის მშენებლობა 600 ადგილიანი დარბაზით, ამბულატორიის შენობა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი.

ხუთი წელია ფაბრიკის მთელი კოლექტივი იჯარაზეა და მაჩვენებლებსაც სანაქებოს აღწევს. გასული ხუთწლედის დასაწყისთან შედარებით 130 კაცით შემცირდა მუშათა ოდენობა და 2,5-ჯერ გაიზარდა ფაბრიკის სიმძლავრე. შრომის ნაყოფიერების 55 პროცენტით მომატება ის სიმაღლეა, რომელსაც ბევრი ინატრებს. საგულისხმოა, რომ პროდუქციის უდიდესი ნაწილი ქალების ხელით იქმნება.

**ნ. ბუთხუზი:** დღევანდელი ჩვენი საუბარი მთლიანად ესადაგება XIX საკავშირო პარტკონფერენციის არსსა და მიზანდასახულობას. შთაბეჭდილებები კვლავ დიდხანს გამყვება. ეს იყო დემოკრატიისა და აზრთა ჭიდილის ზეიმი, რომელზეც უპირველესი ყურადღება ადამიანის ფაქტორის გააქტიურებასა და სოციალური განვითარების საკითხებს დაეთმო. ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი სასურსათო პრობლემა იყო, და ეს გასაგებიცაა. პარტია, მთელი ხალხი შეშფოთებულია სოფლის მეურნეობის მდგომარეობით. დადგა ჟამი თითოეული ჩვენგანის აქტიური მოქმედებისა.

კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, რომ განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე წინააღმდეგობის მექანიზმი მოიშალა და გზა გაეხსნა არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებებს. გლეხის შემოქმედებას ბოჭავდა პროდუქციის ჩაბარების გეგმები, ზემოდან დადგენილი ფასები, ტექნიკის, სასუქების, საშენი მასალების, ფურაჟისა და საწვავის სიძვირე. ჩვენმა მეურნეობამ განვლილი ექვსი წლის მანძილზე მხოლოდ შარშან დააღწია თავი ზარალიანობას და იჯარის ფართოდ დანერგვამ საშუალება მოგვცა 400 ათას მანეთამდე მოგება მიგველო.

სწორედ რომ ასეა. გარდატეხა ჩვენთან დაიწყო მაშინ, როცა სერიოზულად მოვკიდეთ ხელი მეურნეობრიობის სისტემის სრულყოფას, ყველგან დავნერგეთ სამეურნეო ანგარიში და ავამუშავეთ ხარჯვის საწინააღმდეგო მექანიზმი, რამაც მეტი წესრიგი დაგვიმყარა სამეურნეოანგარიშიან ქვედანაყოფებში. სამწუხაროდ, ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი კვლავ განაგრძობს ძველებური მეთოდით მუშაობას, რითაც ილახება ჩვენნაირი ძირეული რგოლების ინტერესები.

ვისაც ჩვენი შრომის ეფექტიანობის ამაღლება სწადია, ხელს ნუ შეგვიშლის მუშაობაში. ესეც დიდი სიკეთეა! მოგვეცით საშუალება დამოუკიდებლად დავგეგმოთ ჩვენი წარმოება, გლეხზე უკეთ ვინ იცის, სად რა მოვა საუკეთესო, არ გვინდა არავის დახმარება ჩვენი ნაჯაფის განაწილებაში, რადგან ჯერ არ დაგვიკარგავს გრძნობა ქვეყნისათვის ზრუნვისა (გვახსოვს ოთარაანთ ქვრივის ქისების ამბავი), და მოგვეცით იმის საშუალებაც, რომ თავისუფლად გავყიდოთ ჩვენივე წარმოებული პროდუქცია. თითოეული ჩვენგანი მიიღებს შემოსავალს შრომის შედეგებისა და რეალიზაციის მიხედვით. რა არის ამაში ცუდი?! როცა მიწათმოქმედი კარგ მოსავალს მოიწევს, შეინარჩუნებს და სარფიანად გაყიდის, გუნება-განწყობილებაც კარგი ექნება.

**დ. ბოსტოღანაშვილი:** ძალიან მეამა ნათელას სიტყვები. როგორ შეიძლება შრომა ნაყოფიერი იყოს, თუ მას ადამიანისა და კოლმეურნეობისათვის ზარალი მოაქვს. წარმოების საშუალებები სახელმწიფოს ხელშია და მე პირადად მიმაჩნია, რომ ასეც უნდა იყოს, ოღონდ მან ეს საშუალებები უნდა გადასცეს შრომითს კოლექტივს სანარდო იჯარით.

ჩვენს ბრიგადაში რვა ქალია და ერთი კაცი მე ვარ (ხომ ხედავთ ქალები უჩემოდ არსად დადიან — იხუმრა დავითმა). კარგია იჯარა საერთოდ, მაგრამ სანარდო იჯარამ შინაარსი გაუმდიდრა ჩვენს საქმიანობას. თუ იჯარის დანერგვის პირველ, 1985 წელს 450 ტონა რძე ვაწარმოეთ, მომდევნო წელს — 678, შარშან 742 ტონაზე ავედით და რესპუბლიკურ სოცშეჯიბრში გავიმარჯვეთ. ფერმაში საშუალო წველადობამ 4.125 კილოგრამს მიაღწია. სანარდო იჯარა რეალურ საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის ბოლოსათვის 6-ათასიანი მიჯნა გადავლახოთ.

რაც შეეხება ჩვენს, ჯაფარიძის კოლმეურნეობას ბერმუხა ნიკო ყოჩიაშვილის ხელმძღვანელობით, წითელწყაროს რაიონის კვალობაზე ერთ-ერთი ლამაზი და კეთილმოწყობილია. 780-კომლიან სოფელს ყველაფერი თავისი აქვს. შეძლებულად ვცხოვრობთ და ამან დაბადა ახალი თაოსნობა: ხუთშვილიან ოჯახებს კოლმეურნეობა უფასოდ უშენებს საცხოვრებელ სახლებს. ალალი და უსაყვედურო იყოს მიშა ბერიძისა და გურამ პატარაშვილის ოჯახებისათვის ახალი ჭერი! დამეთანხმებით, რომ საუკეთესო სტიმულია მრავალშვილიანობის პროპაგანდისათვის.

**ლ. ბართაია:** როცა ასეთ კარგ ამბებს ისმენ, გული სიამით გევსება. მეც მწადია ჩვენს სოფელზე ლაპარაკი, მაგრამ ჯერ ქართული ჩაის პრობლემებზე მინდა გესაუბროთ, რადგან ახლანდელი წელი განსაკუთრებულია სამამულო მეჩაიეობის განვითარების გზაზე. ჩაიში მუშაობის 46-ე

---

# იურიდიული კუთხე

**კითხვა: ვინ შეიძლება ვიშვილოთ და მიშვილების შემდეგ რა უფლებებს იძენენ მიშვილებული და მშვილებელი?**

პასუხი: საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-100 მუხლით შვილად შეიძლება ავიყვანოთ მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვი. 10 წლის ბავშვის შვილად აყვანა მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. მაგრამ თუ ბავშვი შვილად აყვანის დროს ფაქტიურად მშვილებლის ოჯახში ცხოვრობს და მშვილებელს თავის მშობლად თვლის, მაშინ როგორც გამონაკლისი, შეიძლება ბავშვს აღარ ვკითხოთ თანხმობა.

**კითხვა: როგორი უნდა იყოს მშვილებელი?**

პასუხი: მშვილებელი უნდა იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი. მას წარსულში ჩამორთმეული არ უნდა ჰქონდეს მშობლის უფლება.

მიშვილების დებულებით გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ მიმშვილებელი ზნეობრივად უნდა ხასიათდებოდეს დადებითად, არ იყოს ალკოჰოლისტი, ნარკომანი და გადამდები მძიმე სნეულებით დაავადებული.

**კითხვა: ვინ ამოწმებს მშვილებლის ოჯახურ მდგომარეობას?**

პასუხი: მიმშვილებლის ოჯახურ მდგომარეობას ამოწმებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, საბოლოოდ კი სახალხო დეპუტატთა რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომი, მიმშვილებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**კითხვა: როგორი ურთიერთობა ექნება ნაშვილების ნათესავებს მშვილებელთან?**

პასუხი: ნაშვილები და მისი შთამომავლობა — მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები — ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლებებითა და მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესაობას, ამავე დროს, ნაშვილები ჰკარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობისაგან თავისი ბუნებრივი მშობლებისა და წარმოშობითი ნათესავების მიმართ.

არასრულწლოვანი, რომელსაც გაშვილებამდე ჰქონდა მარჩენალის დაკარგვის გამო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან პენსია ან დახმარება, ამ უფლებას ინარჩუნებს შვილად აყვანის შემთხვევაშიც.

**კითხვა: — როგორ აღიკვეთება ბავშვის მიშვილების საიდუმლოს გამხელა, და თუ მაინც მოხდა საიდუმლოს გამჟღავნება, არ-**

წელი ჩავათავე და, ალბათ, ბევრი რამ მეც დამეჯერება. ნამდვილად რომ დგება ახალი ერა ქართული ჩაის განვითარებაში.

რესპუბლიკის ჩაის ფოთლის წარმოების გეგმა შეგვიმცირდა და რომ არ დავზარალებულიყავით, შესასყიდი ფასები მოგვიმატეს. სადირექტივო ორგანოებმა შარშან ამ დროს უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება მიიღეს. დარგის ახლებურმა ეკონომიკურმა ხედვამ ხარისხის მართვის პროცესების სრულყოფისა და შეუქცევადობის შესაძლებლობა მოგვცა.

ჩაის კრეფის მთელი სეზონის მანძილზე, ავდრის მიუხედავად, ნედლეულის დამზადება ძირითადად ტექნიკური პირობების დაცვით მიმდინარეობდა. ამიტომ იყო, რომ პირველი ხარისხის ხვედრითმა წილმა ნახევარს გადაამეტა. გამოდის რომ, ქართველ მეჩაიეს ჩაის კრეფა არ დავიწყებია, იგი ჩვენ თვითონ გადავაჩვიეთ, არც ჩვენს მიწას მოჰკლებია ლალა! ამ კარგ განწყობილებაზე ერთი საყვედურიც მინდა ვთქვა: მეჩაიეებს გვაძლევენ სპეცტანსაცმელს, რომელიც არაფრად არ ვარგა. ჩაიში შევალ და სულ სველი ვარ..

ორი შვილი დავზარდე ჩაიში. როცა მოსავალი მოზღვავდებოდა ხოლმე, ღამით. პროჟექტორის შუქზეც ბევრჯერ მიკრეფია ჩაი. მეუღლეც კარგი შემხვდა. სახელოვანი მესიმინდეა, ჰექტარზე 70 ცენტნერამდე მოსავალს იღებს. სოფელი კარგი გვაქვს: ლამაზი სახლები და მოასფალტებული გზები, ორი საბავშვო ბაღი და ორიც საშუალო სკოლა, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

ჩვენი შეძლებული ცხოვრების წყარო იქიდან მოდის, რომ ურყევად ვატარებთ პრინციპს — ვინც კარგად მუშაობს, ის კარგადაც ცხოვრობს! არ იფიქროთ, ჩვენს სოფელში ყველაფერი იდეალურად იყოს. ზოგი სამსახურში იმიტომ მიდის, რომ დაისვენოს და თანაც ხელს რამე გამოაყოლოს. ასეთები მაინც გამონაკლისია, მაგრამ ჩვენს აწმყოს კვალს აჩნევს. ზოგიერთი გაუუცხოვდა საწარმოო საშუალებებს და საკუთარ კარმიდამოში ჩაიკეტა. ასეთებზე ფართო მსჯელობა გვქონდა სოფლის ყრილობაზე და ლახტიც გადავაწანით.

სოციალური განვითარება სოფლად საარსებო მნიშვნელობის საკითხია და თუკი იგი სწრაფად გადაწყდება, მაშინ სოფელს მუშახელიც მოემატება. მთავარი მაინც ის არის, რომ ადამიანს მისცე საჭირო ტექნიკა, შეუქმნა მუშაობის ნორმალური პირობები, და მხოლოდ ამის შემდეგ იანგარიშო რა შემოსავალს მოგვცემს. თუ არაფერი მიგვიცია, რას ვემართლებით. სანარდო იჯარაც ხომ ამაზეა დაფუძნებული. მიეცი და მოგცემს. მისი არსიც ხომ ის არის, რომ გააქტიურდეს ადამიანი. და განა მტკიცება უნდა იმას, რომ მხოლოდ მეურნე კაცი მუშაობს ძალებისა და ენერგიის სრული უკუგებით.

**მ. მდივანი:** ქალბატონო ლუდიკო, მაპატიეთ, სიტყვას რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ სრული უკუგებით მუშაობას ისიც სჭირდება, რომ დრო ადამიანის სასარგებლოდ მოედინებოდეს, საზოგადოებრივი განწყობა მშრომელის საკეთილდღეოდ იყოს, ხოლო მისი ბედი — საქმის მცოდნეთა ხელში. არ მინდა ვუსაყვედურო იმათ, ვინც მეოთხედი საუკუნის წინათ ჩვენი ფაბრიკა ააშენა. მაგრამ... დღემდე არ გვაქვს სამაცივრო დანადგარები, არც პროდუქციის შეფუთვაა გათვალისწინებული, არც მისი გადამუშავება (საკონსერვო), არც კვერცხის ფხვნილის წარმოება (გრანული). დღევანდელი თვალსაწიერიდან, როცა თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადავედით, ძველი სტერეოტიპების მსხვრევა გვიხდება. ყველა ჩამოთვლილი კომპონენტი ფაბრიკას სჭირდება და მათი გაკეთება მოგვიხდება კოოპერაციულ საწყისებზე.

ფაბრიკასთან ამუშავდა პირველი კოოპერატივი, რომელმაც გასულ თვეში დედაქალაქს ლოჭინის ხეობის ქამა სოკო მიაწოდა. ეს თბილისელ ექიმთა და ინჟინერთა, საქმის უზადო ენთუზიასტთა გარჯის პირველი ნაყოფია. ამ დღეებში დავასრულეთ მოლაპარაკება იორზე სატბორე მეთევზეობის კოოპერატივის შექმნის შესახებ, ხოლო მსურველებს ვთავაზობთ ძველ საქვაბეს და ექვსიოდე ჰექტარ მიწას სასათბურე ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოსაყვანი კოოპერატივის შესაქმნელად.

არც ამჯერად მინდა ვინმეს მისამართით საყვედური ვთქვა, მაგრამ ჩვენი თანხით აშენდა თბილისში პირველი ფრინველის მაღაზია ლენინის ქუჩაზე. დღეს ასეთი მაღაზიები საკმაოდაა. თბილისელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ხომ არ აჯობებდა აღნიშნული მაღაზია ჩვენთვის გადმოეცათ და საფირმო ობიექტად გვექცია. ჩვენ ხომ პროდუქციის რეალიზაციისათვის სავაჭრო ორგანიზაციებს წლიურად 635 ათას მანეთს ვუხდით. ესეც ჩვენს ყულაბას შეემატებოდა და, გვერწმუნეთ, მყიდველიც დიდად კმაყოფილი გვეყოლებოდა.

წლეულს სამი კვარტალის მაჩვენებლებით მოგება 500 პროცენტით გაიზარდა. საგეგმო 70-ის ნაცვლად 638 ათასი მანეთი მოგება მივიღეთ. ფულს მაშინ აქვს ფასი, როცა იგი კეთილ საქმეს მოხმარდება. გადავწყვიტეთ ფაბრიკის გადასახვევ გზასთან, კახეთის გზატკეცილზე ავაშენოთ საფირმო საზკვების ობიექტი კახეთის სტუმრების, მათ შორის უცხოელი ტურისტების გასამასპინძლებლად.

ჩვენს კოლექტივში მრავალი სახელოვანი ქალია, რომელთაგან შვიდი სასოფლო საბჭოს დეპუტატია, ორიც — რაისაბჭოსი.

---

**ხებობს თუ არა რაიმე სახის პასუხისმგებლობა?**

პასუხი: საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 117-ე მუხლით და მშვილებლის თხოვნით შვილად აყვანის საიდუმლოს უზრუნველსაყოფად შეიძლება შეიცვალოს ნაშვილები ბავშვის ვინაობა და დაბადების ადგილი.

მშვილებელის თანხმობის გარეშე, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი — მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობის გარეშე აკრძალულია მმაჩის სააღრიცხვო წიგნებიდან რაიმე სახის ცნობის გაცემა, რომლითაც გამოირკვევა, რომ მშვილებელი ბუნებრივი მშობელი არ იყო ნაშვილებისა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით დაწესებულია პასუხისმგებლობა-სასჯელი იმ პირის მიმართ, რომელიც მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე გაამჟღავნებს შვილად აყვანის საიდუმლოებას.

**კითხვა: ვის შეუძლია გააუქმოს-გააბათილოს შვილად აყვანის გადაწყვეტილება?**

პასუხი: შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, თუ ამას არასრულწლოვანი ნაშვილების ინტერესები მოითხოვს.

**კითხვა: როდესაც სახალხო დეპუტატთა რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომი არ აკმაყოფილებს მოქალაქის თხოვნას, რომ იშვილოს ბავშვი, სად და ვისთან შეიძლება გასაჩივრება?**

პასუხი: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 13 მარტის ბრძანებულებით, რაისაბჭოს აღმასკომის მიერ შვილად აყვანაზე უარის გასაჩივრება შეიძლება: ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში; სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის რაისაბჭოს გადაწყვეტილებისა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გადაწყვეტილებისა — აჭარისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

**კითხვა: ვის ეკრძალება არასრულწლოვანის მეურვეობა?**

პასუხი: საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 139-ე მუხლით არასრულწლოვანის მეურვედ ან მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს: პირი, რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტი წლის ასაკამდე; პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად; პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება; მშვილებელი, თუ შვილად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ იგი სათანადოდ არ ასრულებს მშვილებლის მოვალეობას;

**თამარ ფალავა,**
იურისტი.

ორი ქალი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მრავალი გვყავს ორდენოსანი. ამჟამად 24 ჩვენი სკოლადამთავრებული სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში და პარალელურად აქვე მუშაობს. საქმე ის არის, რომ ჩვენს საბავშვო ბაღებში მიღებიდან ერთი წლის შემდეგ ბავშვები განსაკუთრებული ზრუნვის ქვეშ ექცევიან: რუსულ და ფრანგულ ენებს სწავლობენ. გაძლიერებული სწავლა სკოლაშიც გრძელდება, პედაგოგები თბილისელები გვყავნან და მათი დამსახურებაა, რომ სკოლადამთავრებულებს უმაღლესში მოწყობა არ უჭირთ.

**ლ. ოტიაშვილი:** თუ კაცმა მოინადინა, არც უმაღლესში მოწყობაა ძნელი და არც ტრაქტორზე მუშაობა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ წლების მანძილზე სატრაქტორო ბრიგადას ვხელმძღვანელობდი და კარგად ვიცი მუშაკაცის ყადრი. დავამთავრე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ამ გაზაფხულზე კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად ამირჩიეს. არ მეგონა, თუ ასე მძიმე დავალება იქნებოდა. ღამის თერთმეტზე ადრე შინ ვერ შევდივარ.

სოფლად ბევრი სატკივარი დაგროვდა. გაზეთი „პრავდა" გულისტკივილით წერდა, რომ ზარალიან და მცირერენტაბელურ მეურნეობათა რიცხვი 42 პროცენტს აღწევს. განა ცოტა დახმარება ჰქონდა სოფელს პროდუქციის ფასდანამატის სახით, მაგრამ ზარალიანთა რიცხვი არ შემცირებულა. რატომ? გვერდი აუარეს გზას, რომელიც სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადის და ამიტომ გლეხი ვერ გახდა მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონი.

ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითზე გეტყვით: საქმემ თვითონ გვიჩვენა უვარგისი რგოლების ზედმეტობა. ადმინისტრაციული პერსონალი 75-დან 19 კაცამდე შევამცირეთ და, რაც მთავარია, საქმეთა წყებაში უპირატესობა სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას მივანიჭეთ. ნუკრიანში მევენახეთა 90 პროცენტი ქალია. ყველანაირად ვცდილობთ, რომ შრომის მძიმე პირობები შევუმსუბუქოთ. წელიწადში ორჯერ ვაძლევთ სპექტანსაცმელს. აშენდა საბრიგადო სახლები ზვრებში, სადაც სადილობისა და დასვენების კარგი პირობებია. ამ დღეებში საძირკველი ჩავუყარეთ 140-ადგილიანი საბავშვო ბაღის შენობას.

ჩემი მდგომარეობა ისეთია, რომ თან ვსწავლობ და თან სხვას ვასწავლი პარტიულ მუშაობას. იგი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც არ არსებობს მუშაობის მზა რეცეპტები. მთავარია შეგეძლოს ადამიანების მოსმენა, მათთან გულახდილი და თავისუფალი საუბარი. რამდენ სოფლის სასიკეთო რჩევას იძლევიან, გვეხმარებიან ჩანაფიქრის განხორციელებაში. აშკარად შეინიშნება, რომ პარტკომის ზოგიერთმა წევრმა დაივიწყა კამათი, თავისი აზრის დაცვის ხელოვნება, ან იქნებ არც ჰქონდა ეს თვისება. ამიტომ კრებებს ვატარებთ დევიზით: დაე, გამოვიდეს ყველა მსურველი. ისინი დიდხანს გვიგრძელდება, მაგრამ — საქმის სასიკეთოდ.

სანარდო იჯარის სისტემამ მთელი კოლმეურნეობა მოიცვა. მიწას, ფერმას, ტექნიკას — ყველაფერს კონკრეტული პატრონი ჰყავს. ასეთ ვითარებაში არა მარტო იბადება ახალი საწარმოო ურთიერთობანი, არამედ მტკიცდება ზნეობრივი ნორმები—პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, მეურნეობრიობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ. ერთი სიტყვით, ვსწავლობთ ნაკლები მუშახელით გავუძლვეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და მივცეთ მეტი პროდუქცია ქვეყანას.

**ვ. ჩოთალიშვილი:** კარგი ფორმულაა: ნაკლები მუშახელით — მეტი პროდუქცია. ადამიანის ფაქტორის გააქტიურება სწორედ ამ მიზანს ისახავს. აგრარულ სექტორში უპირველეს ამოცანად მიმაჩნია მიწა და წარმოების სხვა საშუალებები გაიცეს სანარდო იჯარით. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა სამეურნეო დამოუკიდებლობა. ანაზღაურება და გადასახადი ხდება ერთადერთი ეკონომიკური ფორმა სახელმწიფო უფლების რეალიზაციისა და სამეურნეო საქმიანობის მართვისა. შრომითს კოლექტივში აღიძვრება ინტერესი აწარმოონ სწორედ ის პროდუქცია, რომელზეც საზოგადოებრივი მოთხოვნაა, ხოლო მისი რეალიზაცია ყველაზე მეტ ეფექტს მოუტანს.

სოფლად სიახლეები მოზღვავდა. რით უნდა იხელმძღვანელოს გაანგარიშებისას ეკონომისტმა? სამწუხაროდ მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკა არა გვაქვს. ჩვენი მეგზური უნდა იყოს უკვე დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება, გამომდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოების ნორმიდან და საგეგმო-სააღრიცხვო ფასების დონიდან.

წინანდალში ქალებს შრომის საუკეთესო პირობები აქვთ. მათი რიცხი 1400 აღწევს. ვენახი მთლიანად ქალებს დარჩათ მოსავლელად. 50 სასოფლო საბჭოს დეპუტატიდან ნახევარი ქალია, რაც მათ აქტიურობაზე მეტყველებს. 27 წლის წინათ, როცა მუშაობა დავიწყე, ჩვენს საბავშვო ბაგა-ბაღებში 700-ზე მეტი ბავშვი იყო, ახლა კი 500-ს ძლივს აღწევს. აი, რა მოჰყვა ქალთა ემანსიპაციას. ქალს ვენახში მძიმე სამუშაოების შესრულება უხდება, ოჯახისთვის ველარ იცლის.

ბევრი სიკეთე ითქვა სანარდო იჯარაზე. ერთ მაგალითს მეც მოვიყვან. გიორგი შიუკაშვილის მრავალშვილიანმა ოჯახმა 10 ჰექტარი ვენახი გაიპიროვნა. შარშან რამდენიმეჯერ დაისეტყვა, მაგრამ შვილივით მოვლილმა ვაზმა მაინც გაიხარა. ჰექტარობრივმა მოსავალმა 69 ცენტნერი შეადგინა. წლის შედეგების მიხედვით 10 ათასი მანეთი ანაზღაურება მიიღო ოჯახმა. წლეულსაც რაიონი შვიდჯერ დაისეტყვა. გიორგის ვენახი სტიქიასთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა.

**ზ. ალხანიშვილი:** ჩვენი ოჯახი ახმეტიდან ჩამოვიდა ჯაფარიძეში ამ ნახევარი საუკუნის წინათ. მახსოვს, სულ ქოხმახები იყო გამწკრივებული. ენამთის ფერმაში დავიწყე მუშაობა. მუხლამდე ტალახს ვზელდი: უთქვამთ: სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერიაო. შეუპოვარმა შრომამ ხვავრიელი ცხოვრება მოგვიტანა. ახალ პირობებში მუშაობის არსი ხომ ის არის, რომ საწარმოო ცხოვრებისა და სოფლის სოციალური განვითარება უნდა მოხდეს საკუთარი ძალებით. სოფელს საზრუნავს რა გამოულევს და თანხებიც გვარიანად სჭირდება. მეურნე კაცი სავსე ქისას არ გაიჩერებს, რომ ავი თვალი არ მოხვდეს და მაკრატლით არ შეაკვეცონ.

ჩემი შავ-ჭრელი ფურები გარჯას მიფასებენ. შარშან საშუალო წველადობა 5.800 კილოგრამი მქონდა. როგორც სოცშეჯიბრში გამარჯვებულს სამჯერ მომცეს მსუბუქი ავტომანქანა ჯილდოდ. კოლმეურნეობის გამგეობისა და პარტიის რაიკომის ბიუროს წევრობა ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას კოლექტივის წინაშე. წელიწადში რომ ქალი 350 დღეს ფერმაში გაატარებს, ოჯახისათვის ისე ველარ მოიცლის, არადა ბევრი შვილი ერის სიმდიდრეა.

* * *

**სოფელი ადრე იღვიძებსო. ქალაქზე მეტი საფიქრალ-საზრუნავი აქვს და იმიტომ იღვიძებს. ქალი კიდევ სოფელზე ადრე იღვიძებს. ბავშვებზე ფიქრი, ძროხაზე ფიქრი, კარ-მიდამოზე ფიქრი არ ასვენებს. ძველად იტყოდნენ: ქალის შრომა დაუფასებელიაო. დაუფასებელი კი არა — შეუფასებელია. განუზომელია მათი ვალი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. სოფლად მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ განვითარდეს სოციალური სფერო, ადამიანებს სრულად აუნაზღაურდეთ შრომა.**

**ვინც ქვეყნის დოვლათის შექმნას ემსახურება, იმან უკეთ იცის, როგორ წარმართოს თავისი საქმიანობა. სოფლად ძირითადი საწარმოო ერთეული უნდა გახდეს არა ბრიგადები და რგოლები, როგორც აქამდე იყო, არამედ სანარდო იჯარით მომუშავე პირველადი კოოპერატივები, რომელთაც უნდა აღმოვუჩინოთ სხვადასხვა ხასიათის მომსახურება. იჯარით მომუშავე ქვედანაყოფები გარდაიქმნებიან კოოპერაციულ უჯრედებად, იმუშავებენ სანარდო იჯარის პრინციპით და კარგად ჩაერთვებიან საზოგადოებრივი მეურნეობის სამეურნეო მექანიზმში.**

„მრგვალ მაგიდას" უძღვებოდნენ:

ეთერ ჯაფარიძე,

ქრისტეფორე გოგიჩაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეტრო-მშენე-ბელი

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — გარდაქმნის აქტიურ მონაწილეებს, ახალგაზრდა ცვლის მზრუნველ აღმზრდელებს!
სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

არა, გვირაბგამყვანი ქალებით, თავს ვერ მოვიწონებთ. სანგრევში მუხლამდე წყალში ჩამდგარი, დაკუნთულ ხელებში პერფორატორით, ოფლში გაწუწული მანდილოსნის წარმოდგენა შემაზრზენია...

მოხდა ღირებულებათა გადაფასება. ქალებმა ბევრი ვაჟკაცური პროფესია „დაისაკუთრეს“, მაგრამ გვირაბგამყვანობაზე, ალბათ, არავის უფიქრია.

სულ სხვაა ქალი — სამთო ინჟინერი, მიწისქვეშა ნაგებობათა და გვირაბების მშენებელი. ამ პროფესიაში დიდი რომანტიკაა.

„თბილისმეტრომშენის“ სამმართველოს უფროსმა გიორგი ნასიძემ თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ფაკულტეტის 15 კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე შეარჩია. მათ შორის— მერი ლონლაძე და ივანე ბერიტაშვილი. ეს იყო 1950 წელს.

მერისა და ივანეს უმაღლეს სასწავლებელში ერთმანეთი შეუყვარდათ და მეოთხე კურსის სტუდენტები დაქორწინდნენ. იმ წელს, მოსკოვში, მეტროს სადგურ „ბელორუსკაიას“ მშენებლობაზე, საწარმოო პრაქტიკა ერთად გაიარეს. ახლა, 30 წელზე მეტი ხნის შემდეგ, მერი ლონლაძეს გუშინდელივით შეუძლია მიწისქვეშეთთან ნათლობის პირველი შთაბეჭდილებების აღდგენა: გაცხადებულ ოცნებას ჰგავდა ახალი სამყარო.

მერე ცხოვრების ძნელი და გრძელი გზა დაიწყო. ცოლ-ქმარმა ჭიათურაში რკინიგზის გვირაბების მშენებლობაზე წელიწად-ნახევარი დაჰყვეს. პირველი ქალიშვილიც აქ შეეძინათ. მერი ცვლის უფროსი იყო, რკინიგზელის ფორმა ეცვა და ლეიტენანტის სამხრეებს ატარებდა. მუშებთან ურთიერთდამოკიდებულებას ადვილად აუღო ალღო, ამიტომაც ავტორიტეტი ადვილად მოიხვეჭა.

1952 წელს „თბილისმეტრომშენი“ ჩამოყალიბდა და მერი ლონლაძე, მეუღლესთან ერთად, მეტროს სადგურ „ვაგზლის მოედნის“ სამშენებლო უბანზე გადმოვიდა. თბილისის მეტროს მშენებლობის პირველი წლები ყოველთვის კარგად აგონდება. ყველანი ერთი ოჯახის წევრებივით ვიყავითო, — იხსენებს იგი.

ცოლ-ქმარს საქართველოს ბევრ რაიონში მოუწიათ მოღვაწეობა. განსაკუთრებით დაამახსოვრდათ ყვარელში გატარებული წლები. აქ მისი მეუღლის ხელმძღვანელობით უნიკალური ღვინის მარანი შენდებოდა. მთაში გრძივი და განივი გვირაბები შვიდი კილომეტრის სიგრძეზე შედიოდა, ერთმანეთს ჰკვეთდა და ღვინის საცავის უზარმაზარ კომპლექსს ქმნიდა. პირველად კარვებში ცხოვრობდნენ, ქარსა და წვიმასთან დამეგობრებულებს ტაროსის ჭირვეულობა ვერ აფრთხობდათ. დილით სპეცტანსაცმელს გადაიცვამდნენ, საგვირაბო ჩაფხუტებს მოირგებდნენ და ერთად ჩადიოდნენ ჭაურში. იქ ბევრი ლამაზი დღე გაატარეს. მეორე ქალიშვილი — ნინო იქ შეეძინათ და გახდა „ყვარლის პერიოდი“ გაუხუნარი.

პრაქტიკოსი სამთო ინჟინრისთვის, ორი შვილის დედისთვის ადვილი არ იყო ქვესკნელთან ჭიდილი.

მერის სამთო საქმე გულით უყვარდა, დაბრკოლებათა ძლევას ჩვეული იყო, ამიტომ უფრო ადვილად მიჰქონდა მძიმე ტვირთი.

წლებმა ჩამოთოვა. მესამოცე გაზაფხული უკან დარჩა: არა, ახალგაზრდული ცეცხლი ჯერ არ ჩამქრალა, მაგრამ მაინც...

ქალბატონი მერი ახლა „თბილისგვირაბმშენის“ 32-ე საგვირაბო რაზმის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეა. სამსახურიდან შინ რომ ბრუნდება, მეტრომშენებელი, პატარა მიშიკოს ჩვეულებრივ ბებიად იქცევა ხოლმე, და მრავალფეროვნდება ფიქრითა და შრომით დატვირთული მისი დღეები.

გია მელუავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვულოცავთ!

**მარიკა ბარათაშვილი**

„მოვიჩქარი კოლხი ქალი
თეთრი ცხენით, დაუღლელით.
ყველა გზა რომ ჩამიკეტონ,
მაინც არ ვარ ჩამმუხვლელი!“

ეს იყო გაბედული, გამარჯვების რწმენით ალსავსე განცხადება.

ასე შემოვიდა ლიდა სტვილია ქართულ პოეზიაში და დადგა მის რჩეულ პოეტ ქალთა გვერდით.

იმ დღიდან ათეული წლები გავიდა და ამ წლების მანძილზე საშუალება მოგვეცა ჩაგვეხედა პოეტის სულიერ სამყაროში, თვალი გაგვედევნებინა მისი ბავშვობისა და ყრმობის გზისათვის.

იგი დაიბადა 1938 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ქვედა ხუნწში. აქვე დაამთავრა რვაწლედი, შემდეგ სოფელ ლეციცხვაეში — საშუალო სკოლა, მოგვიანოდ კი — ქ. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1955 წელს. სადღეისოდ კი ლიდა სტვილია ოცამდე ლირიკული და საბავშვო ლექსთა კრებულის ავტორია. ესენია: „კოლხეთის მთვარე“, „კოლხეთის ციცინათელები“, „ლექსები“, „ბედნიერების ხუდე“, „გაზაფხული ზამთარში“, „კლდის ყვავილები“, „ცხრა სიყვარულს მოგიტან“, „მთვარეს უყვარს აივანი ჩემი“, „კვლავ გინახულებ“. ბავშვებმა შეიყვარეს მისი წიგნები: „ჰარლალოდა“, „ძილის გუდა, ჭამის გუდა და ზლაპრის გუდის ამბავი“, „ღრუბლის სურათები“, „დევთა ნადარბაზევი“, „ბალი დამწიფებულა“, „ვაზი ალარ ზიანდება“ და სხვა.

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, აფხაზურ ენებზე და თავადაც მიუძღვის წვლილი ოს, აფხაზ და ყაბარდოელ პოეტთა ლექსების ქართულად თარგმნაში.

ლიდა სტვილიას ლექსები აამღერეს ქართველმა და რუსმა კომპოზიტორებმა.

ამავე დროს პოეტი მონაწილეობს საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის საქმიანობაში — მუშაობს გამომცემლობა „ნაკადულში“.

მისი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია: პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, სიკეთე, მეგობრობა, გმირობა, სიყვარული...

დღეს ეს კოლხი ქალი თავისი ცხოვრების შუა გზიდან გვეხმიანება. სად არის ამ გზის დასაწყისი? როგორ იბადებოდა პოეტი? მივდევთ ამ სურვილს და შევდივართ ლიდა სტვილიას ბავშვობისა და ყრმობის სამეფოში:

„შეწითლებულა ცის ძირი ოდნავ,
ტაბაკედასთან
ცხენისწყლის ზევით...
ამაღლებულა პატარა ოდა —
სულ მაღლა მზერით...“

და იმ ოდის სარკმელთან დგას გოგონა, რომლის ოცნება მთვარეს ასდევნებია:

„...თეთრი ღვინით მთვრალი რომ
ვარსკვლავ-ვარსკვლავ
მიბარბაცებს“.

ეს პოეტური პერსონაჟი განსაკუთრებით პატივშია ლიდა სტვილიას მუზის წვეულთა შორის. ის ხან მსუბუქი სევდით ავსებს ახალგაზრდა ქალის გულს, ხან ლექსის მოლოდინის იდუმალი ღელვით... განსაკუთრებით მაშინ, როდესაც

„შორიდან ვისმენ ჩონგურის
ჟრჟოლვას,
მეგრულ ოდიდან ტკბილად რომ
ჟონავს,
...და მაშინ გულში, როგორც
ლადარში,
თუ იდუმალი რაიმე მიძევს...
მას უხილავი ძალა ხელს ჰკიდებს,
ვით ატმოსფერო მეტეორს ცაში
სწვავს,
დაეცემა სამყაროს ვიდრე“.

ასე იწერებოდა ლექსის სტრიქონები გაფრენილ ბავშვობაზე, რადგან მაშინ ომი იყო და

„მამას რომ მოხვდა, აი, ის ტყვია,
ღიმილს აუმღვრევს შვილს და
შვილიშვილს“.

ამრიგად, მამის მოსიყვარულე გულის სითბო და იმედიანი ღიმილი არ მოჰყოლია გოგონას ცხოვრების გზაზე — მასთან ნაცნობობა მხოლოდ დედის მონათხრობით, მამის შემორჩენილი ნივთებით, გაცრეცილი სამკუთხა ბარათებითა და კედლიდან გადმომზირალი სურათითოა შედგა, მაგრამ დედის გულში ჩაგუბებული უძირო ტკივილი, იმ სამკუთხა წერილების მოლოდინი და ბოლოს შინმოუსვლელ მამაზე და, ეგებ, მის უკანასკნელ, შინმოუღწეველ ბარათზე ფიქრი უფორიაქებდა სულს პოეტ ქალს:

„ჰქრის ზენა ქარი
ცივი, ხან თბილი,
რალაცას ეძებს,
ვილაცას ეძებს,
და მოუღწეველ
ბარათებივით
ეჰ...
წრიალებენ
ფოთლები ხეზე“...

იმ მძიმე წლებში, როცა ქვეყანას ასე უჭირდა, მეურნისა და მამის ტვირთსაც შინ და გარეთ ქალები, დედები ეწეოდნენ.

„ახვევდა დედა ლადარის ცხელს
გულს.
თუ მზრდიდა, მე ის ლადარი
მზრდიდა...
დილამდე თავზე
კეცდაფარებულს
ეძინა ცეცხლსაც კაცივით
მშვიდად...
. . . . . . . . .
ომი იყო და თვალებზე ხელებს
ის (დედა) აფარებდა კერიის
სევდას“.

უზომო სითბოთი, თანაგრძნობითა და მადლიერებით არის ალვსილი დედისადმი მიძღვნილი ლექსები. მაგრამ დედასთან ერთად „მამის სუნთქვად და მამის ღიღინად ძილში გვესმოდა ჩვენი სოფლის ხმა“.

ამიტომაც უყვარს ასე გამახვილებული გრძნობით ლიდა სტვილიას სოფელი, მისი ადამიანები, ჯადოსნური ფუნჯით მოხატული სამეგრელოს ბუნება, ახარებს მისი მშობლიური კუთხის სიკეთე, სტკივა მისი სატკივარი.

სწორედ სოფელმა ასწავლა პოეტს, რომ „ნაპერწკალს განმარტოების სურვილი ღუპავს“. სწორედ სოფელმა გაუღვივა მას ის ნაპერწკალი შემოქმედებისა და ათქმევინა:

„ლექსებო, ქვეყნის უძილო მხარევ,
ჩემი სამკვიდრო იქნებით მარად!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მადლიერების გრძნობით ავსებს თავად სისხლდაწრეტილი სოფლის ღირსება, სიკეთე და გულუხვობა:

„შენ გული თურმე მეხმა
დაგიწვა,
არ გიჩქეფს ძარღვში სისხლის
ზვირთები...
ვინ დაგიჯერებს, შენ თავზე
გაწვიმს
და სხვას ქოხისთვის ყავარს
ჰპირდები"
(„მუხას")

მართლაც იმ გაჭირვების და მწუხარების წლებმა ასწავლა ადამიანს გულუხვობა. მათ ისევე არ შურთ ერთმანეთისა, როგორც ნაკადულის პირას ჩამომწკრივებულ ხეებს.

„მე შენზე ცოტას...
— შენ... ჩემზე მეტს სვამ,
არ უსინჯავენ ერთმანეთს სურას".

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის შემოქმედი ადამიანის არც ერთი პრობლემა არ დარჩენილა, რომელსაც თავისებურად არ გამოხმაურებოდა ნიჭიერი მწერალი ქალი, მათში მთავარია ფიქრები სამშობლოზე, მის მომავალზე, ზრუნვა ახალგაზრდობის აღზრდაზე.

ამ აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად იგი ეძიებს სიტყვას და ფერებს:

„ვით ბედს, ვეძებ სიტყვას
გამძლეს, გამტანს, მთავარს
და ის წუთი მიყვარს,
როცა არვის ვგავარ!"

ლიდა სტვილიას თავისი არჩეული გზის ჯერ მხოლოდ ნახევარი აქვს განვლილი, წინ არის განცდილითა და ნანახით, კიდევ მეტად გამახვილებული გრძნობით განჭვრეტილი სამომავლო გზა:

„ასი სერი გადავქუსლე,
კიდევ დამრჩა ასი ველი,
ჯერ სად არის მზის ამოსვლა,
მის ამოსვლას აწი ველი"..

დაე, გამართლებოდეს პოეტს ეს მოლოდინი!

„ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ღირსეულ ქალს, პოეტს, დედას — ლიდა სტვილიას დაბადების 50 წლისთავს და უსურვებს დღეგრძელობას, დიდ შემოქმედებითს სიხარულსა და ბედნიერებას.



## ლიდა სტვილია

### მამულო!

...მე ვარ შენი დედაჩიტი,
შენი დედაფუტკარი,
დედავაზი,
დედავეფხვი,
სითბოს დედაბუხარი.

დედაბოძი,
დედაკაცი —
დასაბამი სიცოცხლის...
ლოცვად ვდგავარ და მამულო,
მე შენ გიცავ იმ ლოცვით!
მე ვარ შენი დედაბუდე,
ფუძე დედაადგილის...
დედააზრი,
დედაარსი
დედა დედამანდილის...
დედამძუძუ,
თეთრი თმებით
თეთრად გადაბარდნილი...

მე ვარ შენი გმირი დედა, —
ყველა ჯილდოს მფლობელი,
აკვნისდედა,
გუთნისდედა
დღედალამე მშრომელი,
სიყვარულის და სიცოცხლის
წყარო დაუშრობელი;
მხოლოდ შენთვის ვარ, მამულო,
უკვდავების მშოვნელი!
...მე ვარ შენი დედაწყარო,
თვალი როგორ დავლულო
მოხევურო,
მთიულურო,
კოლხურო
და დავლურო...
ჩემო ნუსხახუცურო და...
ჩემო ასომთავრულო,
საფლავშიაც ვერ დავდგები
შენზე დარდით მამულო!

* * *

...რაც აწერია
ზედვე
დარჩეს...
გაშალაშინება
არ სჭირდება
ჩემს გულის ფიცარს!
დარდის საბურველს ავიხდი თავად...
არ |მიყვარს სევდა,
თუნდაც მე მგავდეს, —
...მზეო მალალო!
გთხოვ მოეფერო
ჩემი ძარღვებით აკონილ ვარდებს,
ჩემი ძარღვებით აკონილ ლერწებს
არ დააყარო სეტყვა და კორხლი...
შვილს და
შვილიშვილს
მაინც გაუგე
ლილო-ჭრილო და ფუმფულა ნოხი!

### არა

რატომღაც მიყვარს ეს სიტყვა „არა"
და თვით არ ვიცი, რამ შემაყვარა.
სპექტაკლის შემდეგ,
როს ნათელ ქუჩებს მივყვები
წყნარად,
ვაჟი თუ მეტყვის „მე გაგაცილებთ!"
ვპასუხობ: „არა!"
როცა ფრთას იხსამს დაირა, ტაში,
„იცეკვეთ ჩემთან" — მომმართავს
ვაჟი.
მე ვამბობ „არა!"..

ჩემს მოკრძალებას ეს ერთი სიტყვა,
ეს ცივი სიტყვა შვენის ზარნიშად.
თავს გამოვუტყდე? მე ვიტყვი „არას"
და ის ყოველთვის არას არ ნიშნავს.

ლალი მარტაშვილი

# ხე ნაყოფით იცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი კარლო ფაჩულია

მოთხრობა

ორშაბათ-დილა გათენდა!

რადიო რომ დილის საგალობლით დალოცავს საქართველოს „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეო", „დილა მშვიდობისას" ალერსით რომ ეტყვის ნიავი პირდაბანილსა და ქოჩორდაწყობილ დედამიწას, აიშლება ბაბალეს ოჯახიც. პირველი იასონი გამოვა სახლიდან. იმან უნდა გამოიყვანოს ძროხა ბოსლიდან და ნახირს გააყოლოს, იმან უნდა გაიტანოს პატივი და ბოსტნის თავში დაყაროს. დაიწყება წვიმები და ღვარი მთელ ბოსტანს მოსდებს სასუქს, მიწას გაანოყივრებს. მერე ბაბალე გამოვა სახლიდან, პირველად ცას შეხედავს, ფიქრში მშვიდობის დილის გათენებას მიესალმება. მერე ეზოს დააწკრიალებს. არსად უნდა ეგდოს ზედმეტი ფოთოლი, მერე ქათმებს უნდა გაუვსოს ჩიჩაყვი საკენკით, ნატეხრებში ახალი წყალი უნდა ჩაუსხას.

ჩიტები ჟივჟივით აიკლებენ იქაურობას. რა გაჟივლებთ, — ჩიტებს შეეხმიანება ბაბალე, — ომი გაქვთ თუ ქორწილია? ვერა გავიგე რა, იმ ვერანა ქარმა დაუბუმბლავი ბარტყები ხომ არ გადმოგიყარათ ბუდიდან, ჰა?

...მზე რომ ცაზე გათამამდება, კაცის მარჯვენა რომ გაძლიერდება, შრომის სუფევა რომ დამყარდება, ადუღდება დღე, იდუღებს, სანამ დაიღლება, სანამ მზესაც სხივი გაუხუნდება და თვალები დაეხუჭება. ცხრა თვალი აქვს მზეს. სათითაოდ დაეხუჭება ნელ-ნელა... მაშინ მუხლს ჩახრის კაციც.

მზე რომ ჩაესვენება, იასონი და ბაბალე დაბრუნდებიან სამუშაოდან. ყუათიანი, ძარღვიანი შოთი და გემრიელი ვახშამი შეერგებათ დაღლილებსა და მოშიებულებს. იასონი გაზეთს გადახედავს, ბაბალე მიალაგ-მოალაგებს იქაურობას.

მერე გადაშავდება ქვეყანა, ძილი წაიღებს სოფელს. შორს დარდი და ტკივილი ადამიანისაგან, და ღამეც მშვიდობიანი და ტკბილსიზმრიანი იქნება.

ორშაბათ-დილა გათენდა! მიყვარს დღეებში ორშაბათი, ცხოვრება იწყება თავიდან.

* * *

კრება შებინდებულზე გათავდა, დიდი ბჭობა იყო, რაიკომის კაცი ესწრებოდა. ასეთი რამ ჯერ არ ენახა ბაბალეს, რაც სოფლის სადარდებელი გულში ხინჯად ჰქონდა და მარტო იასონთან თუ უთქვამს, სულ ითქვა კრებაზე, პირს მუწუკი მოერიდებაო, ნათქვამია, მაგრამ არც ის ვარგებულა, რომ სათქმელი გულში დაიმარხო, ახლა ამ გულახდილობის ზეიმმა დაანახვა ბაბალეს, უთქმელობით რამდენი დააკლდა მასაც და სხვასაც, რაიონსა და ქვეყანას.

სოფელს ახალი პატრონი დაუნიშნეს.

— იცი, ბაბლო, როგორ მიმვარდა გული მაგ კაცზე? შენ რაც გინდა თქვი და, ეგრე შევხედე, რო გერგილიანი კაცი უნდა იყოს, გულკეთილი და ხელკეთილი, რა კარგადა თქვა, კაცოო, პირი კი არა, გული ლაპარაკობდა. ჩვენი სოფელი, გეყურება ბაბლო, სულ ხუთი თითივით იცის უკვე. რამდენ ადგილას მიმუშავია და ეგეთი უპატრონობა არ მინახავსო. ამოდენა სოფელს, რომლის ზურგზეც გადადის ლამის მთელი რაიონის ყურძნის დამზადების გეგმა, წყალი არ აქვსო. ეგეთი უმოქმედობა სად გაგონილაო. ამიტომაც არი ჩვენი თავანკარა ღვინო განთქმულიო, იხუმრა ჩალათაანთ გიომ, წყალი არა გვაქვს რა დავასხათო.

— მაშ, ის არი საქმე, იასონ, რო უფროსობა კაცმა იმით დაიწყო, შენი კაბინეტი გაარემონტებინო, უბრალოდ კი არა, სულ ატლასში ჩასვა, ისეთი ავეჯით გააწყო, შესვლა გინდოდეს და გამოსვლა აღარ, მერე დაჯდე განიერ მაგიდასთან და ცნობებზე ხელი მოაწერო, დროდადრო ხელქვეითებს ოქმები

გააფორმებინო. ეს არი საქმე? იმ ჩვენი ძველი უფროსისა არ იყოს, კაცო, გული არ უნდა დაუდო საქმეს? უგულოდ მუშაობა მე არ გამიგონია. თან რას იბღვირებოდა, რა აყვირებდა, კაცო. იმ ყვირილით გაჰქონდა თავის არაფერი კაცობა, არ იცოდა, რომ კაი გამარჯობა უნდა ეთქვა ჩემთვის, მიბრძანდ-მობრძანდი უნდა ეთქვა, როცა მის წინ მშრომელი კაცი ვიდექი! სხვაგან რო სახელს გაიტეხს კაცი, მოხსნიან და მერე შენ გამოგიგზავნიან უფროსად, როგორია? კაცი ვერ უნდა იცნო? სადა გზავნი, რო გზავნი? ჰა? იმისგან მეურნე რო არ დადგება, არ იცი?

....ვაჰ, ბაბლო, რა ბეჭედივით სიტყვა ჰქონდა, ჰა? ეგეთი სიტყვა კანონივით უნდა მიიღო კაცმა. ე რა არი, კაცო, რას გიგავთ საველნახე გზებიო, მანქანის ბორბლები მაინც არ გენანებათო... იცი, რა მომეწონა, ბაბლო, ყველაზე ძაან? მე კოლექტიური ხელმძღვანელობა მწამს, მე და თქვენ ერთად ვიმუშავებთო, სახელმწიფოსაც ვარგებთ და ჩვენს ოჯახებსაცო.

— მეც ეგეთი აზრი მაქ, იასონ, მაგ კაცზე, მაგრამ მაინც ვნახოთ, ხე ნაყოფით იცნობაო, იტყვიან ხოლმე.

— ვნახოთ არ უნდა, ნაღდი ვაჟკაცი ჩანს, საუკუნე თავდებაო, გეყურება, ბაბლო, როგორ შევხვდეთ ახალ საუკუნესაო. შეძლებულ ქვეყანას დავახვედრებთ თუ ხელმოკლეს, ჩვენზეა დამოკიდებულიო. გავისარჯოთ და ქვეყანაც გაღონივრდებაო. მე და შენ არ გვინდა, ბაბლო, დარიგება, ჭიპი შრომაში გვაქ მოჭრილი. მე ბაბლო, მამაჩემის თესლი და ძირი ვარ, აზანბურცივით შრომა იცოდა ცხონებულმა, თან რა გულღია კაცი იყო, სიცილისა და ხუმრობის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო, უსაქმურსა და ღვინო-არაყს გადაყოლილ ხალხს კეთილი სიტყვით არ გაახარებდა, გან-გან მოსიარულესა და წაქცეულს აყენებასა და შინ მიყვანას არ დააყვედრიდა, ხშირად იგონებდა ხოლმე თავის მამიდაშვილს, ახალგაზრდობა ეგრე „ტყლურჭვაში" რომ გაეტარებინა და საბრალოს სიბერე აღარ ელირსა, ორმოცდაათისაც არ იყო, რო გარდაიცვალა და ოჯახისთვის ძეძვის ღობეც კი არ დაუტოვებია. ჩვენ, ბიჭებს, მამაჩემი გვეტყოდა ხოლმე; აბა, დაასხით ხორბალს არაყი, გაღვივდება? — არა, ჰოდა შვილო, ფარაონის საფლავი რო გაუხსნიათ, სამი ათასი წლის წინ დასაფლავებული ფარაონისა, ხორბლის მარცვლები ამოუღიათ და დაუსხამთ წყალი. მეორე დღეს მარცვალი გაბერილა, მესამე დღეს გაღვივებულა და მეოთხე დღეს გადამწვანებულა, გეყურებათ? სამი ათასი წლის წინანდელი ხორბალი! ეგე, ეგ არი არაყი და ეგე, ეგ არი წყალი.

* * *

იასონი და ბაბალე ეზოში შევიდნენ, ის პატარა ტარაკუჭა შვილიშვილი ბაბალეს მუხლებზე შემოეხვია; უმცროსი ბავშვი უკვე დაეძინებინა მზიას. ბაბალე მივიდა, ბიჭს პირსახური ახადა. ბიჭმა რომ ტუჩები გააცმაცუნა, ბებო გენაცვალოსო, ჩაიდუდუნა და პირსახური ისევ დაახურა, მერე საგარეო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი გაიხადა, საშინაოდ გამოეწყო და გაჰყვა საოჯახო საქმეს. ოჯახის დედა თავს არ ზოგავდა, რომ რძლისათვის ტვირთი შეემსუბუქებინა. ორი ბავშვის პატრონი იყო მზია და, ჰა, სადაცაა მესამესაც დაახჩავლებდა.

— ბაბალევ! — გაისმა ძახილი.

ელდამ გაჰკრა გულზე ბაბალეს: გოგია ჯერ არ მოსულა შინ, მარინეს ხო არა უჭირს რა? ნიკო მოსულია, ნეტავ? ქალაქიდან ხომ არაფერია? ბაბალე მიუახლოვდა ეზოს კარს და გაღიმებული ქრისტინე მასწავლებელი რომ დაინახა, გულს მოეშვა.

— მობრძანდით, ქრისტინე მასწავლებელო, მობრძანდით!

— მოსაბრძანებლად ან მე სად მცალიან და ან შენა. ალბათ, გაგიკვირდება ჩემი მოსვლა, ისიც ასე უდროოდ, მაგრამ გულმა არ გამიძლო და აღარ დამტია სახლში. მიხარიან, დედას რომ შვილის კარგს ვეტყვი და გავახარებ.

...სარაიონო თათბირს დავესწარი, ჰოდა, შენი და ჩემი გოგია რომ აქეს, ცათა ფრინველს მოვეწონე, უფრო და უფრო შემიყვარდა ეგ ბიჭი,..

— მარა, ქრისტინე მასწავლებელო, იმასაც ისე უყვარხართ, იმისმა სიცოცხლემ!..

ბაბალეს რაღაცა ძალამ უბიძგა, ეკოცნა ქრისტინე მასწავლებლისათვის. ხმის ამოღება არ შეეძლო, ისეთი გრძნობა დაეუფლა, ტირილი უნდოდა. არც მადლობა უთქვამს კარგის მომბისათვის, ქრისტინე მასწავლებლისათვის კი ეგ გრძნობა უცხო არ იყო, მიუხვდა ბაბალეს და მალე გამოეთხოვა.

— რაო, — იკითხა იასონმა.

— ქრისტინე მასწავლებელი იყო, დიდი თათბირი გამართულა. კულტურის განყოფილების გამგეს გოგიაზე ულაპარაკნია, ჩვენს გოგიაზე. იგრე უქია, რო მეტი აღარ შეიძლება. აბა, კინო ხომ იდეოლოგიური აღზრდის მძლავრი საშუალებააო, ეგრე უთქვამს იმ კაცს.

ეს ბოლო სიტყვები ბაბალემ იმიტომ დაუმატა, რომ ეს იდეოლოგიური აღზრდა, კერძოდ როგორი აღზრდააო, იასონს არ ეკითხა. მთავარი ის კი არ არისო, რომ კინომექანიკოსმა ფინანსური გეგმა შეასრულოსო. მთავარი ის არისო, რომაო, ხალხს კარგად ემსახუროსო, სამუშაოს შემდეგ მშრომელი კაცი მოდის კინოს სანახავად, უნდა ისიამოვნოს, კარგ გუნებაზე უნდა დადგესო, კარგი უნდა აფიქრებინოო.

— მერედა, გოგიას რა შეუძლიან, ჰა!

ძალიან ბევრი შეუძლიანო. ჩვენაო, გიორგი ხატიაშვილს ვერ შევუქმენით სამუშაო პირობებიო. მან ყველა დაბრკოლება გადალახაო და სოფელს კულტურული დასვენება არ დააკლოო. მოლარის მოვალეობასაც თვითონ ასრულებს და თვითონვე აკონტროლებსო. აფიშებსაც თვითონ წერს და სოფლის თავშეყრის ადგილებში თვითონვე მიაქვსო. ჩვენ გვყავს კინომექანიკოსებიო, უთქვამს იმ კაცს და გვარიც დაუსახელებია, რომლებიც ხელფეხს არ ანძრევენ, არ მოდიან ჩვენთან, არ მიაქვთ კინოფირი, ჩვენი მოვალეობა კინოს გაშვებაა და არა სხვაო. ამიტომაც არის, რომ სოფელს თვეების მანძილზე კინოსურათი თვალით არ უნახავსო, გიორგი ხატიაშვილის მონდომებული და გულითადი მუშაობით დარბაზი ყოველ საღამოს ხალხით გაჭედილიაო.

იასონი პირდაღებული შესცქეროდა ბაბალეს, მასაც, როგორც ბაბალეს, მიაჩნდა, რომ გოგია უბრალო პროფესიის კაცი, ვერაფრით ვერ გამოიჩენდა თავს, ძალიან კი უნდოდათ ცოლსაცა და ქმარსაც შვილების კეთილად მოხსენიება სოფელსა თუ რაიონში. ბაბალეს მოაგონდა, იასონი რამდენჯერ ჩუმად გაუჯავრდა გოგიას, თოხნაში არ მეხმარებიო, მაშ, დავიჯერო, ეგრე არა გცალიაო?

— აბა, თუ მაგ მამაძაღლმა ერთი სიტყვა გვითხრას, გაგვიხარდებოდა, ხო არ გვეწყინებოდა, — თქვა იასონმა.

— მე ვიცოდი. არ იცით მაგის ხასიათი? კვეხნას ხომ არ დაიწყებდა, — უპასუხა მამამთილს მზიამ.

— ჰოდა, ქრისტინე მასწავლებელმა... მერე გოგია გამოსულა სიტყვით. მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმეო და ვერაფერი სიძნელე გულს ვერ ამაცრუებინებსო, ჩემი მაყურებელი რომ სულგანაბული უყურებს სურათს, ის რომ აღელდება და „უჰს" შესძახებს, ან საიდანღაც დარბაზში ვინმეს სლუკუნს გავიგონებ, ის კინოსურათი ჩემი დაწერილი და ჩემი გადაღებული მგონია, მაგრამ გულს მაკლია, რომ სოფლის ცხოვრებაზე იშვიათად მოგვდის კინოსურათებიო. არ გიკვირს იასონ, რომ ამ უთქმელმა ბიჭმა იმოდენა ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლა გაბედა?

— მაშა, კაცო!

მზიას ეამა დედ-მამის კმაყოფილება, მისთვის ახალი არაფერი იყო, მაგრამ ის უხაროდა, რომ მისი გოგიას კაიკაცობა ქრისტინე მასწავლებელმა იცოდა, რაიონმა იცოდა, ფრინველი — ფრთითა და ქალი —ქმრითაო, ისე იყო მზიას საქმეც.

* * *

არ ეძინებოდა ბაბალეს, მოაგონდა პირველი დალაპარაკება იასონთან. მიწაზე ფეხი რომ გაუსვა იასონმა და უთხრა: აი, ამ მიწად ვიქცე, თუ ჩემს სიტყვას ვუღალატოო, და გადაწყდა ბაბალეს ბედიც. შრომობდა ბაბალე უბნის ქალებთან ერთად და ამაგრებდა ოჯახის ფუძეს. აშენდა, ორ სართულზე აიწია სახლმა... მეფე ფინეზმა უთვალავი საბოძვარი გასცა, რომ ღმერთს შვილი მიეცა, ბაბალეს არც საბოძვარი დასჭირებია და არც მკურნალობა. ბუნებამ ოთხი შვილი აჩუქა და ბაბალეს უარი არ უთქვამს ამ სა-

ჩუქარზე. გაიჭირვა და დაზარდა შვილები. რა თქმა უნდა, სულ ვარხალალო არ იყო ოჯახში, სადარდო და ამაღელვებელიც ბევრი გამოჩნდა. ხან ბავშვის ავადმყოფობა შეაშფოთებდა, ხან სეტყვა ხელს დააბანინებდა მოსავალზე, ხან მასწავლებელი იტყოდა საყვედურს რომელიმე ბიჭის ქცევაზე თუ სიზარმაცეზე. და რა ვიცი, კიდევ რამდენი რამე. ბევრი დარდი აჩვენა დედ-მამას უფროსმა შვილმა, მარინემ. ის იყო, საშუალო სკოლას ამთავრებდა, უკანასკნელი გამოცდიდან გაჰყვა ბიჭს. არც საქორწინო კაბა და არც ნიშან-ქორწილი. მაშინვე გაექანა ბაბალე იმ ბიჭის სახლისკენ. იმდენი სწყევლა მარინე, რომ ჩაასვენა საფლავში და მიაყარა მიწა, მაგრამ რა გამოუვიდა! გოგო თავჩაღუნული იჯდა და უკან დაბრუნება ფიქრადაც არ მოსდიოდა. იასონი, თუმცა გაცეცხლებული იყო, მაგრამ არც იმას მოსვლია ფიქრად გოგოს უკან დაბრუნება. შვილის სახელს გაფრთხილება სჭირდებოდა. ბაბალე მალე მიხვდა, რომ იასონი მართალი იყო, მოაგონდა თავისი დეიდაშვილის გოგოს ამბავი. მოიტაცა ბიჭმა, რაღა მოიტაცა, გაჰყვა იმას, ვინც უყვარდა, მაგრამ თავს დაესხა დედ-მამა; დიდი საყვედურითა და წყრომით უკან დააბრუნეს გოგო. ის ვაჟი ახლა ცოლშვილშია გაფუფუნებული, გოგო კი, რაღა გოგო, კარგა ხანია გათხოვების ასაკს გადაცილებული, ახლაც მარტოა, გამოეკეტა ბედის კარი და ეგ არი.

ბაბალეს წყევლა სულ ლოცვად ექცა მარინეს, ისე აეწყო იმისი ცხოვრება.

...ბაბალემ ახლა მეორე შვილი, ნიკო აწონ-დაწონა, ნიკო რა, უბრალო მძღოლია? ზოგმა მარტო საჭის მიტრიალ-მოტრიალება იცის და თუ რამე გაუფუჭდება მანქანას, ხელოსანთან გარბის. ნიკომ იცის, სად რა სტკივა მანქანას, ისიც იცის, როგორ ამუშაოს, რომ არაფერი ეტკინოს. ნიკო კაცია, აბა, ამოტოლა მანქანას ვინ ანდობდა. როცა გახურებული მუშაობაა, დედა მოუკვდეს, დღეში რამდენ რეისს აკეთებს. ეს მე მიმძიმს, თორემ თვითონ ისეა მიჩვეული, რომ...

...მარტო თინამ მოინდომა სწავლის გაგრძელება, — ახლა თინას მიუტრიალდა ბაბალეს ფიქრი. ამ ზაფხულს პრაქტიკიდან რომ დაბრუნდა, გვითხრა: იმდენი რამე ვნახე და ვისწავლე, რომ, აი, დავამთავრო ინსტიტუტი, თუ ჩემი სოფელი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების პოლიგონად არ ვაქციო, ქალი არ ვიყოო. არც მე და არც იასონმა არ ვიკითხეთ, პოლიგონი რა არიო. მივხვდით, რაღაც სასიკეთოს ამბობდა. კარგი მყავს, დედა ენაცვალოს, აბა, ეგ დადგება აგრონომი, აი.

* * *

როგორი იქნება ხვალინდელი დღე ბაბალესათვის? ის და იასონი ადრე ამოვლენ ვენახიდან. დაისვენებენ. იასონი მუხლზე დაისვამს პატარა გოგოს და ფერად-ფერად წიგნს გადაუშლის. ბაბალე აიყვანს ხელში თეთრ ბიჭს და გაიყვანს ეზოში; დააყენებს მიწაზე, შეუდგამს ხელებს მხრებში და ტაატით გაატარებს, მერე ერთ წამს გაუშვებს ხელს, „ბიჭი დადგა, ხე წაიქცა", — იტყვის, ბიჭი დადგება და ბარბაცს რომ დაიწყებს, ხელს შეაშველებს ბებია, მერე ისევ გაუშვებს ხელს, ისევ ეტყვის: „ბიჭი დადგა, ხე წაიქცაო", ისევ მიაშველებს ხელს. მერე ბაბალე ეტყვის მზიას: წადით, შვილო, შენ და შენი მამამთილი კლუბში, მე დავრჩები ბავშვებთან. მზია უპასუხებს: თქვენ წადით, მე დავრჩები ბავშვებთან, ახლა იასონი იტყვის: თქვენ წადით... და საბოლოოდ მზია და ბაბალე წავლენ კლუბში.

წამოსვლისას გოგიაც შემოემატებათ და ერთად დაბრუნდებიან შინ.

კიდევ რამდენიმე კვირა და, დადგება სიხარულიანი დღეები. ბაბალეს ოჯახში გაიშლება საზეიმო სუფრა, ყველანი თავს მოიყრიან აქ, დედ-მამის სახლში: ნიკო და ნიკოს ცოლ-შვილი, მარინე და მარინეს ქმარ-შვილი. თინაც ჩამოვა ქალაქიდან და აივსება სახლი. იასონი აიღებს ღვინით სავსე ჭიქას და დალოცავს ოჯახს, მის ნამრავლს და ბოლოს იტყვის: აი, ამ მსხმოიარე ვენახს გაუმარჯოს, ბაბლო, ფასდაუდებელი განძით რომ ამდიდრებს ჩვენს ოჯახს. ყველანი მზიასკენ გაიხედავენ, ბაბალესაც სიხარულით გული აუჩუყდება. იტყვის სადღეგრძელოს და ფიცით დააბოლოებს: „შენმა მშვიდობით მორჩენამ, შვილო მზიავ, და ჩემი შვილების სიცოცხლემ".



„....როს ჩრდილიც გარდაიქნევა,
არ შემაწუხებს, იქ რა იქნება,
რადგან აქ, შენთან, ღვთაებრივ
წესად
თავბრუდასხმული ვუვლიდი მზესა"...

**ეს მშვენიერი სტრიქონები ნაზი კილასონიას ეკუთვნის და სწორედ ხსენებული ლექსის სათაური „გარდასვლა" ეწოდა პოეზიის იმ სპექტაკლს, რომელიც ამას წინათ დადგა ხელოვნების დამსახურებულმა ჯოლევანემ, რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა, სპექტაკლის მონაწილე კი გახლდათ ფილარმონიის მხატვრული სიტყვის ოსტატი ელდინო სალარაძე.**

**ფილარმონიის დაარსებიდან ას წელზე მეტი გავიდა. მისი ისტორიის ყოველი დღე უაღრესად საინტერესო და სამახსოვროა. ფრიად ნიშანდობლივია, რომ იმ დიდ წრეში, რომელსაც საქართველოში ფილარმონიული საზოგადოების შექმნა დაევალა, ბევრ გამოჩენილ მამუ-**

# გარდასვლა

ლიშვილთან ერთად იყვნენ იაკობ გოგებაშვილი და ვასო აბაშიძე, ერთი — ქართული ენის მოამაგე, მეორე — ქართული სიტყვის დიდოსტატი. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ფილარმონიის არსებობის მანძილზე მხატვრული სიტყვა ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო და ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს პოეზიისა და პროზის პროპაგანდა წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, მათი საუკეთესო ნიმუშების ხალხში გატანას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ დარგში ქართულ ესტრადას ძირითადად თეატრი ასაზრდოებდა, რადგან ფილარმონიაში ძირითადად მომუშავე მსახიობები მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდნენ. თეატრის გამოჩენილი მსახიობები ყოველთვის ხალისით მონაწილეობდნენ საესტრადო კონცერტებში. ბევრ მათგანს ესტრადისათვის მზად ჰქონდა საგანგებო რეპერტუარი. ჩემს თაობას კარგად ახსოვს სესილია თაყაიშვილი და სანდრო ჟორჟოლიანი, ვასო გოძიაშვილი, აკაკი კვანტალიანი და ალექსანდრე გომელაური, გიორგი სალარაძე, სტეფანე ჯაფარიძე და სხვები.

დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა — თეატრი რატომღაც ჩამოსცილდა ესტრადას. ორიოდე გამონაკლისის გარდა, სახელმწიფო ფილარმონია იძულებულია საკუთარი ძალებით დაკმაყოფილდეს, რაც მეტად შეზღუდულ ვითარებას ქმნის. ფილარმონიის მხატვრული სიტყვის ოსტატებიდან ამჯერად მინდა გამოვყო ელდინო სალარაძე. მან მოღვაწეობა სკოლაში დაიწყო, როგორც მასწავლებელმა, და შემდეგ გადაინაცვლა ხელოვნებაში. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამეცნიერო-მეთოდიკურმა ცენტრმა მოაწყო რესპუბლიკის მასწავლებელთა დათვალიერება მხატვრულ კითხვაში. სხვებთან ერთად მონაწილეობდა ქიმიის მასწავლებელი ელდინო სალარაძეც, რომელიც მოეწონათ და ურჩიეს, ესტრადის მსახიობი გამხდარიყო.

საესტრადო სასწავლებელმა უყოყმანოდ გაუღო კარი ნიჭიერ ქალს. დღეს ელდინო სალარაძეს უკვე გამორჩეული ადგილი უკავია ქართულ საესტრადო ელიტაში, მისი საამო ხმა და მკაფიო დიქცია თავიდანვე განაწყობს მსმენელს. ბოლო დროს მსახიობმა ქართველი პოეტი ქალების ნაწარმოებების მიხედვით მოამზადა რეპერტუარი. იგი ორი განყოფილების მანძილზე კითხულობს ანა კალანდაძის, ნაზი კილასონიას და მედეა კახიძის მომხიბლავ ლექსებს.

„მაინც რა არის სიყვარული?
...სიყვარული ისეთი შეშლილია,
...სიყვარულის ყველას ეშინია.
(ნ. კილასონია).

ამბობს მსახიობი და მის სახეს ოდნავ შეეპარება სიწითლე.

ელდინო სალარაძე საოცრად გულმართალი და ემოციური მსახიობია — გჯერა მისი ნათქვამის, წაკითხულის, მისი გამომეტყველების, თვალების და ცრემლების. ყველაფერს ამას ხედავ, გრძნობ, თანაც არაფერია გადამეტებული, არსად არ ისმის ყალბი ბგერა.

ხშირად ჩამოდიან გასტროლიორები, მხატვრული კითხვის ოსტატები, ბევრჯერ მოვხიბლულვართ მათი დეკლამაციით, მაგრამ ელდინო სალარაძე თითქოს ყველასაგან გამოირჩევა, რადგან როგორი შინაარსის ლექსიც უნდა წაიკითხოს, როგორი მებრძოლი სულითაც უნდა იყოს გაჟღენთილი ნაწარმოები, იგი ყოველგვარ ლექსს თავის შესაფერის მელოდიას მოუძებნის. მისი ამპლუა ძირითადად ლირიკაა და მისი სული ლირიკას მთლიანად შეესაბამება.

მრავალფეროვანია მისი რეპერტუარი. ელდინომ მთელი პროგრამა მიუძღვნა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს. სხვა პროგრამა თანამედროვე ქართველი მწერლების ნაწარმოებებისაგან შეადგინა. ცალკე ამზადებს გალაკტიონის საღამოს. დიდია დიაპაზონი, ბევრია ლირიკა, დრამატიზმი და იუმორიც. მისი იუმორი თავისებურია, მოკლებული ყოველგვარ გარეგნულ ეფექტებს, სერიოზული, აკადემიური, მაგრამ ამასთანავე გასაგები და მომხიბლავი. მისი ერთი ძირითადი კანონი ის არის, რომ იუმორისტულ ნაწარმოებს არ სჭირდება გაშარჟება — იგი უნდა წაიკითხო გამომსახველად, რომ მთლიანად აღიქვას მსმენელმა და ისე გაიგოს, როგორც ავტორს აქვს ჩაფიქრებული:

...გზა ღიჭით და ფათალოთი
დაბარდულა,
ორღობეში გამართულა ტაშ-
ფანდურა.

მედეა კახიძის ამ ლექსში იგრძნობა სოფლის სურნელი, ორღობეში გამართული ტაშ-ფანდურა, ეს იმიტომ, რომ გჯერა მოსმენილის, ეს იმიტომ, რომ მსახიობის მომხიბლავ და წყაროსავით მშვიდად მომდინარე ხმაში არც ერთი ყალბი ნოტი არ ისმის.

ზოგჯერ რაღაც ნაღველი იგრძნობა ელდინოს კითხვაში. ეს ნაცნობი სევდაა, იქნებ გარდასულ დღეთა, გარდასული დროის მოგონების გამო, რაც ასე ხშირად ემართებათ ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ადამიანებს, როცა იგონებენ და ამ მოგონებით ხარობენ.

...„მე ისე მოგენდე
როგორც ქარს ფოთოლი,
როგორც ზღვას პატარა ხომალდი;
როცა შორს მრჩებოდი,
ვიყავი ობოლი,
ჩამქრალ პატრუქივით ვბოლავდი“...

თითქოს არაფერია ამ სადა სიტყვებში ახალი და საოცარი, მაგრამ ჩვენამდე ისე მოაქვს მსახიობს, რომ დამალულ ცრემლთან ერთად გიჩნდება ამაღლებული სურვილები, ოცნებები და მოგონებები.

იმ საღამოს, როდესაც ელდინო სალარაძე სამი პოეტი ქალის — ანა კალანდაძის, ნაზი კილასონიას და მედეა კახიძის ლექსებს კითხულობს — სიყვარულის საღამო უნდა ეწოდოს, რადგანაც ბევრად ბევრ სატრფიალო ლექსს გამოჰფენს ხოლმე, და თუ ლექსში მინიშნებულიც კი არ არის სიყვარული, მაინც სიყვარულს განგაცდევინებს, როგორც, მაგალითად, ანა კალანდაძის „თუთა“.

...ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ,
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...

ისმენ, და ასე გგონია, რომ უძრავ და ცივ ხეზე კი არ არის საუბარი, არამედ ახოვან, ლამაზ რაინდზე.

ანდა, რა დიდია შთაბეჭდილება, ისმენ ნაზი კილასონიას „საგალობელს სიყვარულისას“.

„და ასე, ტყე და ტყე მოვდევ შენს
ნაკვალევს, თოლიგე,
აუ, ხელებს მიწვდა და თვალებს,
სიყვარულს, თოლიგე!
რომ ღმერთად ვიწამო თვით
ჩემი არსებაც, თოლიგე,
რადგან მე მინა ვარ და შენით სავსე
ვარ, თოლიგე!

საკმარისი არ არის მხოლოდ კარგი ნაწარმოები, საჭიროა მაყურებლამდე, მსმენელამდე მისი კარგად მიტანა. ელდინო სალარაძე ის მსახიობია, რომელსაც შეუძლია ღრმად ჩასწვდეს პოეტის, მწერლის ზრახვას, ნაწარმოების შინაარსს, დედააზრს, და ისე მოგაწოდოს, როგორც ავტორს ჰქონდა ნაოცნებარი, ჩაფიქრებული.

როდესაც სარეკლამო დაფაზე გამოჩნდება წარწერა „ესტრადაზეა ელდინო სალარაძე“ — ქართული ლიტერატურისა და მხატვრული კითხვის მოყვარე მაყურებელი პირთამდე ავსებს დარბაზს, რათა იგრძნოს ქართული სიტყვის მუსიკალობა, მოქნილობა, სიღრმე და მშვენიერება.

**ჯიმშერ მუჯირი,**
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორჯონიკიძის აკ. წერეთლის სახელობის ქართული საშუალო სკოლა 100 წლისაა

# იწყება მეორე საუკუნე





ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლა უძველესია არა მარტო ორჯონიკიძეში, არამედ მთელს ჩრდილო კავკასიაში.

„ხევ-მთიულეთიდან, რაჭიდან და სხვა მთიანი კუთხეებიდან ჩამოსახლებული მთიელები კავკავის მთელ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტულნი, ერთმანეთს მოწყვეტილნი და უწიგნურნი. სასკოლო ასაკის ბავშვთა უმრავლესობა სკოლის გარეშე იყო დარჩენილი, შეძლებული მშობლები კი ბავშვებს თავისი უბნის რუსულ ან ოსურ სკოლებში აბარებდნენ, სადაც ქართულ ენას ივიწყებდნენ," — წერს თავის მოგონებაში გიორგი ნათაძე.

საჭირო იყო გაფანტული და უწიგნური ქართველი მოსახლეობის შეკავშირება, ამიტომ თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა კავკავში (ახლანდელ ორჯონიკიძეში) ქართული სკოლის დაარსება.

ამ საქმის დაგვირგვინება და ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ქართველთა სანუკვარი ოცნების განხორციელება მიხეილ ყიფიანმა იკისრა.

მიხეილ ყიფიანი ილია ჭავჭავაძის პროგრესული ჯგუფის აქტიური წევრი, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი და ქართული სკოლის ერთ-ერთი დაუღალავი მოამაგე იყო.

1888 წლის 23 ნოემბერს მიხეილ ყიფიანის თაოსნობით პირველად დაირეკა კავკავის ქართული სკოლის ზარი, რომელმაც ცოდნას მოწყურებულ ქართველ ყმაწვილებს მშობლიურ ენაზე სწავლის დაწყება ამცნო.

მიხეილ ყიფიანის თაოსნობითვე დაარსდა „თერგის ოლქის მთიელთა შორის წერა-კითხვის და ტექნიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება", აქედან ჩანს, რომ მ. ყიფიანი არ იყო შემოფარგლული მხოლოდ ვიწრო ეროვნული ინტერესებით, რის გამოც ჩრდილო კავკასიაში დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ქართული სკოლა პირველად ოთხკლასიანი უფასო სასწავლებელი იყო 32 მოსწავლით, რომელსაც დაკავებული ჰქონდა ოროთახიანი დაქირავებული ბინა. სკოლის არსებობისათვის საჭირო თანხები გროვდებოდა ფასიანი საღამოების გამართვით, ნებაყოფლობითი შეწირულებითა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სახსრებით. სკოლა განიცდიდა დიდ მატერიალურ სიძნელეებს, მაგრამ ეს არ აშინებდათ სკოლის მესვეურებს და თავდადებით ემსახურებოდნენ სახალხო განათლების საქმეს.

მიხეილ ყიფიანი სახელოვანი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის მეგობარი იყო. იგი ძალზე ახლო იყო სკოლასთან. მას არა ერთი მგზნებარე ლექსი წაუკითხავს ქართველი ყმაწვილებისათვის.

მიხეილ ყიფიანის შემდეგ ვლადიკავკავის ქართულ სკოლას სათავეში ჩაუდგა უბადლო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე.

ლუარსაბ ბოცვაძე მაღალი პედაგოგიური შეგნებით ასწავლიდა ქართულ ენას. მას რუსული ენის სწავლების საქმეც კარგად ჰქონდა დაყენებული ქართულ სკოლაში.

„ქართული ენის ცოდნა ხომ საუცხოოდ ჰქონდა მის მოწაფეებს, რუსულ ენასაც საგანგებოდ ასწავლიდა ლუარსაბი," — აღნიშნავს გ. ნათაძე თავის მოგონებაში და ამის საილუსტრაციოდ ასეთი შემთხვევა მოჰყავს: „ერთხელ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი ქართულ სკოლაში დაესწრო რუსული ენის გაკვეთილს. მზრუნველმა ერთი მოხევის გოგონა ააყენა და ჰკითხა, კრილოვის რომელი არაკი იცი ზეპირადო. გოგონამ დაუსახელა, მზრუნველმა ზეპირად ათქმევინა და მერე უთხრა: — აბა გადი, ეს არაკი დაფაზე დაწერეო. გოგონამ მშვენივრად დაწერა არაკი და მხოლოდ ერთი უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა. რუსული ენის ასეთმა ცოდნამ გააკვირვა მზრუნველი. როგორც ეტყობა ის მოელოდა, რომ „ინოროდცების" სკოლაში რუსული ენის სწავლების სისუსტეს ნახავდა და მასწავლებელს შეახურებდა, უბრძანებდა რუსული ენის სწავლების ადრე დაწყებას და გაკვეთილების რიცხვის მომატებას. შემდეგ კავკავის რეალური სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე ზავადსკის უთქვამს: — გამაკვირვა ქართული სკოლის მოწაფეთა რუსული ენის ცოდნამო. თერგის ოლქის სკოლების დირექტორი გრუშევსკი სუსტ მასწავლებლებს ურჩევდა: „წადით ქართულ სკოლაში და ისწავლეთ ბოცვაძისაგანო" და მართლა აგზავნიდა ლუარსაბ ბოცვაძის გაკვეთილებზე დასასწრებად რუს მასწავლებლებს.

ლუარსაბმა თოთხმეტი წელი უხელმძღვანელა ქართულ სკოლას და დიდ სასწავლო-კულტურულ ცენტრად გადააქცია. მიაღწია იმას, რომ ქალაქის გამგეობამ მიწის ფართობი გამოუყო, სადაც მშვენიერი შენობა აშენდა.

ამ შენობაში მოთავსდა ქართული სკოლა, ქართული ეკლესია, ქართული საკრედიტო საზოგადოება, თეატრი და ჭრაკერვის პროფესიული სკოლა. ხალხი ამბობდა: „ამ შენობის კედლები ლუარსაბის ფილტვებით არის გამომშრალიო".

ლუარსაბ ბოცვაძემ კავკავში დავით სარაჯიშვილის ქარხნის მუშებისთვისაც გახსნა საკვირაო სკოლა, სადაც განსაკუთრებული მონდომებით ასწავლიდნენ ქართველ მუშებს წერა-კითხვას.

კავკავის ქართულ სკოლაში დიდხანს მუშაობდა და ნაყოფიერად იღვწოდა გიორგი ნათაძე. აქვე მუშაობდნენ ცნობილი პედაგოგები: გ. მიქაბერიძე, ტ. კახიძე, ნ. ყაზბეგი, ო. ბაკურაძე, ს. იორდანიშვილი, გ. რაზმაძე, პ. გოთუა, ლ. კალანდარიშვილი და სხვები.

ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში სკოლასთან ერთად დიდი როლი შეასრულა სკოლის სახალხო თეატრმა, რომელიც მართავდა სამხატვრო-სალიტერატურო დილა-საღამოებს, წარმოდგენებს. აქ სხვადასხვა დროს წარმოდგენები გაუმართავთ ქართული თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეებს: ვალერიან შალიკაშვილს, იუზა ზარდალიშვილს, ლადო მესხიშვილს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს და სხვებს.

1905 წლის რევოლუციამ დიდი ცვლილებები შეიტანა სკოლის ცხოვრებაში. სკოლის მასწავლებლები: გიორგი უტურაშვილი, ნინო უტურაშვილი, გიორგი ნათაძე, იოსებ ბაბილოძე, ელენე კაზახიშვილი და უფროს მოსწავლეთა ნაწილი რევოლუციას თანაუგრძნობდნენ. სკოლის შენობის გვერდით, მათ მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში პროკლამაციები იბეჭდებოდა. სტამბას ნოე ბუაჩიძის დავალებით იოსებ ბაბილოძე და მისი მეუღლე ხელმძღვანელობდნენ, შემდეგ ეს პედაგოგები გააციმბირეს.

1918 წლის გაზაფხულზე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თერგის საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატმა სკოლა საშუალოდ გადააკეთა და სახელმწიფო ხარჯზე გადაიყვანა.

1940 წელს, ა. წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლას და ქუჩას, სადაც ის მდებარეობს, დიდი მგოსნის სახელი მიენიჭა.

ომის წინა წლებში ქალაქ ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლა ერთ-ერთ მოწინავე, საუკეთესო სკოლად ითვლებოდა, მოსწავლეთა რიცხვი 800-მდე გაიზარდა.

ორჯონიკიძის ქართული სკოლის აღზრდილები არიან პროფესორები — ვანო შადური, სოსო ბოცვაძე, გაიოზ ავსაჯანაშვილი, დოქტორი რეზო სამუკაშვილი, აკადემიკოსი ოთარ ლუდუშაური, დოცენტები: ვახტანგ ნათაძე, კოტე რეხვიაშვილი და მრავალი სხვა.

ქართულ სკოლაში სხვადასხვა დროს 22 დირექტორმა იმუშავა. მე მხვდა ბედნიერება 24 წელი მეხელმძღვანელა სკოლისათვის. ჩემს გვერდით იყვნენ ვეტერანი მასწავლებლები: ნინო დოლიაშვილი, თამარ ებრალიძე, კატო ჩაგულიშვილი, გოცა ხომერიკი, შალვა რეხვიაშვილი, ლადო ქავთარაძე, კლავა მაჭავარიანი, გერონტი მეტრეველი, ვერა ფიცხელაური, ელენე რეხვიაშვილი და სხვები.

ტრადიციულად სკოლას კავშირი აქვს საქართველოს სკოლებთან. 1971 წლიდან ერთმანეთს ხვდებიან ქუთაისისა და ორჯონიკიძის სკოლები მამისონის უღელტეხილზე.

სკოლასთან მეგობრობდა საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე, ან განსვენებული ელენე ჩოფიკაშვილი. მისი ჩამოსვლა სკოლაში ყოველთვის სასიხარულო იყო. მას ბავშვებისათვის ჩამოჰქონდა წიგნები, ჟურნალები და სხვა საჩუქრები.

ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლა თავისი არსებობის 100 წლის იუბილეს ზეიმობს. ორმოცდათორმეტჯერ დაირეკა სექტემბრის ზარი, რაც სკოლა საშუალოდ გადაკეთდა.

ამჟამად სკოლას შეფობას უწევენ ყოფილი მოსწავლეები: ყაზბეგის რაიონის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი — ვანო შადური, საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ვალოდია ჩოფიკაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი — ილო ელოშვილი.

ბევრი სიძნელეები გადავიტანეთ, თუნდაც მშობლიური ენის შენარჩუნება-გაძლიერებისათვის ბრძოლაში, მაგრამ დღეს სკოლა გვაქვს და კვლავაც გვექნება.

ქართულმა სკოლამ ფეხი შედგა თავისი არსებობის მეორე საუკუნეში. ვუსურვოთ წარმატებები მოსწავლეთა პატრიოტული აღზრდის საქმეში. კვლავაც გაემართლებინოს ის დიდი იმედები, რასაც ამყარებს მასზე ქართველი საზოგადოება.

სოფიო ელიაშვილი,
ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# ცხოვრების დიდ გზაზე

**ნ**ინო ჩხაიძეს, კომუნისტური პარტიისა და შრომის ვეტერანს, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერს ცხოვრების განვლილ გზაზე ბევრი რამ აქვს მოსაგონარი.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო — მისი ძმა ალფესი ჩხაიძე, ნოე კილაძე, არტემ ურუშაძე, იაკობ კილურაძე, სხვა რევოლუციონერი ბოლშევიკები პროკლამაციებს რომ ავრცელებდნენ.

ნინო შრომითს საქმიანობაში 1926 წლიდან ჩაება. ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკაში თავი გამოიჩინა, როგორც ძაფის ამოღების კარგმა ოსტატმა, თანამოსაქმეებს გამოცდილებას უზიარებდა. გულდაჯერებით მეცადინეობდა, მუშაობდა საკუთარ თავზე, სახელი გაითქვა და მალე კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად დააწინაურეს. დაუზარელმა გოგონამ ქალთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ფართოდ გაშალა. საკოლმეურნეო მოძრაობაში აქტიურად ჩააბა ახალგაზრდობა. იგი ჯერ ლანჩხუთის, ხოლო შემდეგ ქობულეთის რაიონის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგედ დანიშნეს. იმხანად თამარ ლომიძე, თამარ ბურაკოვა, ოლია პაკატალოვა, კარლო სურგულაძე, ზინა ჩხარტიშვილი და სხვები აქტიური კომკავშირელები იყვნენ. ნინოც მათთან ერთად მოღვაწეობდა.

ნინო ჩხაიძე 1930 წელს რესპუბლიკის ქალთა ყრილობის დელეგატად აირჩიეს. შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორწლიანი პარტიული სკოლა დაამთავრა. მან დიდი მუშაობა გასწია მაღალმთიანი ქედისა და ხულოს რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, აქ სიძნელეები შეხვდა. ძველი წეს-ჩვეულების მოყვარულებს უძნელდებოდათ წერა-კითხვის შესწავლა. მაგრამ ეს სირთულე ნინომ დასძლია. გახსნეს ჭრა-კერვის სკოლაც. მას დაუფასდა გაწეული შრომა. ერთხანს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების კადრების სექტორის გამგედ მუშაობდა. იგი მრავალი მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელია. ამჟამად ნაყოფიერად მუშაობს ბათუმის კომკავშირისა და პარტიის ვეტერანთა საბჭოში, ზრუნავს ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

ბათუმის რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმში ნინო ჩხაიძეს შეხვედრა მოუწყეს. მან დამსწრე საზოგადოებას საინტერესო ეპიზოდები მოუთხრო განვლილი ცხოვრებიდან, მუშაობის გამოცდილებიდან. ამაგდარი დედა ხარობს ორი ვაჟიშვილითა და შვილიშვილებით.

სიდონია ხუნდაძე

---

**ს**კოლაში ჩატარებული საინტერესო ღონისძიებიდან ნამოსულმა ერთ-ერთმა მთავარმა მონაწილემ დანაშაული ჩაიდინა... გაკვეთილიდან აღელვებული გამოვიდა მასწავლებელი, რომლისთვისაც მოსწავლეებს ცარცით მოეთხუპნათ სკამი.

ამხანაგმა ამხანაგს ჩანთა მოახვედრა თავში, დაზარალებულმა ტვინის შერყევა მიიღო. მეორე ამხანაგი კი ირწმუნებოდა, მე ეს შემთხვევით მომივიდა, მერე რა მოხდაო.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტები, დამეთანხმებით, ტიპიურია დღევანდელი სკოლისათვის. ჩვენ და მოსწავლეები სხვადასხვაგვარად ვხსნით ერთიდაიგივე შემთხვევებს. მათ რომ უბრალო ხუმრობა ჰგონიათ, მშობლები იმ საქციელს ბავშვურ ცელქობად თვლიან, ჩვენ კი გვიჭირს ზღვარის დადგენა, სად თავდება ბავშვობა და სად იწყება ბოროტება და სამართალდარღვევა.

თუ ადრე ასეთ მოზარდებს დისციპლინის დამრღვევებს ეძახდნენ მხოლოდ, ჩვენ უფრო რომანტიული სახელები შევარქვით: ძნელი, რთული, ძნელადაღსაზრდელი, პედაგოგიურად ხელმიშვებული, ქცევის დეფექტების მქონე, ასოციალური ქცევისა და ა. შ.

მთავარი კი ჩვენთვის მიზეზთა დადგენაა: რატომ ხდება ასე, რატომ ვერ ვმართავთ მოზარდის გულსა და გონებას, რატომ გახდა მისაღები მათთვის ის, რაც ჩვენთვის დასაგმობია, როგორ და როდის ვშორდებით ერთმანეთს, როდის დავკარგეთ ურთიერთობა?

პედაგოგებთან და მშობლებთან საუბრებით ვრწმუნდებით, რომ ბევრ მასწავლებელსა და მშობელს სულ უფრო უძნელდებათ მოზარდთან საერთო ენის გამონახვა.

ბოლო ხანს სკოლაშიაც ხშირად ვსაყვედურობთ ერთმანეთს, თითქოსდა ბავშვებს მეტად ლმობიერად ვექცეოდეთ, საკმაოდ არ ვსჯიდეთ უწესობისა და ქცევის ნორმების დარღვევისათვის, სულ უფრო ხშირად ვიყენებთ დასჯას, როგორც აღზრდის მეთოდს, რადგან ვფიქრობთ, რომ დასჯა რაც უფრო მკაცრია, მით უფრო შედეგიანია.

არა და რაოდენ საჭიროა, რომ ბავშვს დანაშაულის ჩადენის შემდეგ მივცეთ საშუალება გაიაზროს თავისი საქციელის სიმძიმე, შეიგნოს დანაშაული. ჩვენი საქმიანობა სკოლაში უფრო ნამიერ ეფექტებზეა დამყარებული, ჩვენთვის მთავარია იმ წუთსავე მაღალი ზემოქმედება გავატაროთ, ეფექტური ხერხი გამოვიყენოთ, მაგრამ ეს ყოველთვის როდია მომგებიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოზარდთა კონფლიქტების ზოგიერთი მიზეზი



18723

რადგან მოზარდი ამას აღიქვამს, როგორც პირად ანგარიშსწორებას და შურისძიებას. სწორედ ყოველივე ამის გამო უჩნდებათ მოზარდებს უფროსებისადმი უნდობლობა, პროტესტის გრძნობა, რომლის არსიც ერთი შეხედვით გაუგებარია.

ალსანიშნავია ისიც, რომ დისციპლინამ, როგორც ცნებამ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მისი შინაარსი გავამარტივეთ და მინიმუმამდე დავიყვანეთ, ამიტომ ვლებულობთ მოზარდთა უკურეაქციას ალქმის პროცესში. არსებითი ის არის, რომ სასკოლო ცხოვრებაში საკითხი სწორად წყდებოდეს.

დასჯის პრობლემა მეტად რთულია და მრავალ კითხვას აყენებს: როდის შეიძლება დასაშვებად მივიჩნიოთ დასჯა და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი, რათა სასურველი შედეგი მოჰყვეს, რას მივცეთ უპირატესობა — დასჯას თუ წახალისებას, რა არის საჭირო, ნების დართვა და თავისუფლების მიცემა, თუ შეზღუდვა და უკიდურესი რეგლამენტირება.

არის ოჯახები, სადაც მშობლები მბრძანებლობენ. მათი შვილები უმეტესად დამჯერნი, მორჩილნი და შემსრულებელნი იზრდებიან, ხოლო მოზარდობის პერიოდში ისინი ხშირად ბედავენ წინააღმდეგობა გაუწიონ მშობლებს. ეს წვრილმანი უთანხმოება ზოგჯერ კონფლიქტამდე მიდის, რაც შეიძლება მწვავეც იყოს, ხშირ შემთხვევაში მოზარდი მარცხდება ზეპირ პაექრობაში მშობლებთან, რადგან მას ჯერ კიდევ არა აქვს საჭირო არგუმენტაციის უნარი. ამიტომ ბავშვი კიდევ უფრო გულჩათხრობილი ხდება ოჯახში. ეს განწყობა მას უარყოფით ფონს უქმნის სკოლაშიც. ამ დროს მოზარდს არც სკოლა, არც ოჯახი არ მიაჩნია ავტორიტეტულად და გულისმოსაოხებელ ადგილს ეძებს ან გარეთ, თანატოლთა წრეში, სადაც მას მოუსმენენ (ხშირად თანაგრძნობითაც), ან უფროს მეგობრებთან, სადაც რჩევა-დარიგებებსაც ღებულობს და თანატოლადაც თვლიან. ეს კი პრესტიჟულია და მოსწონს მას.

ისეთ ოჯახებშიც კი, სადაც ურთიერთგაგება და მეგობრული დამოკიდებულებაა მშობლებსა და შვილებს შორის, მოზარდობის პერიოდში ურთიერთობა მაინც მწვავდება. ამის მთავარი მიზეზია ლტოლვა მოზრდილად გახდომისაკენ. ამ შემთხვევაში მშობლები უნდა მოერიდონ ამ ფაქტის აღიარების უგულებელყოფას. საჭიროა ბავშვებთან ურთიერთობისას მეთოდების გარდაქმნა, უარის თქმა ზედმეტ მეურვეობასა და დამრიგებლობაზე, მიზანშეწონილია უფროსი მეგობრის როლში ყოფნა.

ამ აზრის სისწორეში დასარწმუნებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ერთ-ერთი მოზარდი, სანდრო სკოლაში მოსამზადებელი კლასიდან სწავლობდა. დედა დიდ ყურადღებას აქცევდა შვილს, ყოველ წუთს მასთან ატარებდა. სურვილი ჰქონდა გაკვეთილზეც დასწრებოდა და შვილის პასუხით დამტკბარიყო, რადგან დარწმუნებული იყო, რომ იგი ყველაზე გონიერი და ჭკვიანი იყო კლასში.

დაწყებით კლასებში ამას სანდროც და მისი თანაკლასელებიც ჩვეულებრივ ამბად თვლიდნენ, რადგან თითქმის ყოველ მათგანს ასეთივე ყურადღებით ექცეოდნენ მშობლები. როცა პატარები წამოიზარდნენ — მე-7, მე-8 კლასებში დედების ასეთი გადაჭარბებული მეურვეობა თანდათან აღარ მოსწონდათ შვილებს. სანდროს დედა აიძულებდა შესვენებაზე კუთხეში ჩუმად ეჭამა განსაკუთრებულად მომზადებული და შინიდან მოტანილი საუზმე, ერეოდა თანაკლასელთა წვრილმან კინკლაობაში და საქმეს თავისი პოზიციიდან ურჩევდა ბავშვებს, ამხანაგებმა სანდროს ჯერ დაცინვა დაუწყეს, შემდეგ კონფლიქტებიც მოსდიოდათ, აწვალებდნენ, ხშირად სცემდნენ კიდეც, გოგონები აბუჩად იგდებდნენ, ამას ემატებოდა სანდროს თავისებური ხასიათიც — დაბეზღება, ენატანიობა, ეგოიზმი. რადგან დედა სულ თავზე ადგა, სანდრო ცდილობდა როცა დედას ვერ ხედავდა, მაშინ გამოეჩინა თავი „ვაჟკაცობით". პედაგოგები ურჩევდნენ დედას, არ შეეზღუდა სანდრო, მიეცა მისთვის თავისუფლება. ამ ნიადაგზე იმატა უსიამოვნებამ მშობელსა და მასწავლებლებს შორისაც.

სანდრო ოჯახშიც ვერ გრძნობდა თავს ლაღად. ოჯახის წევრების მთელი ყურადღება მასზე იყო გადატანილი. რადგან იგი ერთადერთი შვილი იყო, ანებივრებდნენ

მისი ასაკისათვის შეუფერებელი სათამაშოებით და ათასგვარი ზედმეტი ნივთებით.

ერთხელ, მე-8 კლასში ყოფნისას, სანდრო ჩვეულებრივ მოიყვანა დილით სკოლაში მამამ, რადგან დედა შეუძლოდ გამხდარიყო. სანდრომ იგრძნო თუ არა, რომ არავინ უთვალთვალებდა, „გმირობის" ჩადენის სურვილი მოეძალა და ერთ-ერთ შესვენებაზე თანაკლასელ გოგონას უშვერი სიტყვებით შედგენილი ბარათი გაუგზავნა, გოგონას თანაკლასელები გამოესარჩლნენ, ატყდა ჩხუბი, რომლის დროსაც სანდრომ სკამი მიპარვით ჩაარტყა თანაკლასელ ვაჟს, რომელიც ტვინის მძიმე შერყევით წაიყვანეს საავადმყოფოში. სანდრო შეშფოთდა, ვიდრე ყველა გაიგებდა ამ ამბავს, იგი მასწავლებელს დაეთხოვა და შინ წავიდა, შემდეგ კი ირწმუნებოდა: მე როგორ ჩავარტყამდი, როცა იქ არ ვიყავიო. ამხანაგებმა შეიძულეს სანდრო და მშობლები იძულებულნი გახდნენ იგი სხვა სკოლაში გადაეყვანათ.

გარდატეხის ასაკში მოზარდები განსაკუთრებული მგრძნობელობით აღიქვამენ მასწავლებლის ღირსება-ნაკლოვანებებს, როგორც პროფესიული მომზადების, ისე პიროვნული თვისებების მხრივ, ამისდამიხედვით, მათ ეცვლებათ დამოკიდებულება სწავლისადმი.

მოზარდების ერთმანეთთან ურთიერთობა აქტიურად გრძელდება სკოლისა და ოჯახის გარეთაც. ხდება გაერთიანება ჯგუფებში, სადაც ხშირად გამომუშავდება უარყოფით მოქმედებათა ცალკეული სპეციფიკური შაბლონები. მათ შორის დღეისათვის მეტად თვალშისაცემია დაინტერესება თამბაქოს წევით, ალკოჰოლით, ბილწსიტყვაობით, აგრესიულობით და უხეშობით.

ამ დროს მოზარდის პიროვნებაში ხდება ძირეული გარდატეხა, მას უვითარდება შეგრძნება იმისა, რომ იგი უკვე ბავშვი აღარაა და კატეგორიულად მოითხოვს ჩათვალონ დიდად, რაც თავისთავად გამოხატავს მოზარდის ახალ, ცხოვრებისეულ პოზიციას.

ამრიგად, მოზარდობის პერიოდის დასაწყისში ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები, რაც გამოხატულებას პოულობს ერთის მხრივ მოზარდებს შორის დამოკიდებულებაში და მეორეს მხრივ, მოზარდისა და მოზრდილის ურთიერთობაში.

ჩვენს მიერ კონფლიქტების აღრიცხვისა და დაჯგუფების შედეგად დადგენილია, რომ დღეში საშუალოდ სამი კონფლიქტი ხდება სკოლაში, ამაში შედის კონფლიქტები როგორც მოზარდებს შორის, ისე მასწავლებელსა და მოსწავლეს და მასწავლებელსა და მშობელს შორის.

კონფლიქტური სიტუაციები მოზარდსა და მოზრდილს შორის განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა მოზრდილი ინარჩუნებს ბავშვურ ურთიერთობას მოზარდის მიმართ. ეს კი თავის მხრივ ეწინააღმდეგება როგორც აღზრდის ამოცანებს, ისე საკუთარი მონიფულობის შესახებ ბავშვის წარმოდგენებს და მის პრეტენზიებს ახალ უფლებამოვალეობებზე. თუ მოზრდილი არ ცვლის ურთიერთობას მოზარდის მიმართ, მაშინ მოზარდი თვითონ ხდება ურთიერთობის ახალ ფორმაზე გადასვლის ინიციატორი, მოზრდილის წინააღმდეგობა მოზარდში იწვევს ახალ-ახალ წინააღმდეგობებს, წარმოშობს შეტაკებებს, ურთიერთობათა სიმწვავეს. შეიძლება ეს გაგრძელდეს მთელი მოზარდობის პერიოდში და მიიღოს ხანგრძლივი კონფლიქტის სახე, რომელიც გაგრძელდება მანამ, სანამ მოზრდილი არ შეცვლის ურთიერთობას, ვიდრე არ დამყარდება მათ შორის მეგობრული, ურთიერთპატივისცემის, დახმარების, ნდობის განწყობილება.

ამგვარი დამოკიდებულება მოზარდს არა მარტო მოზრდილებთან ურთიერთობას უადვილებს, არამედ მოზრდილთა საუკეთესო ჩვევების შეთვისებასაც უწყობს ხელს, ეს კი თავის მხრივ აადვილებს ურთიერთობას მოზარდებს შორისაც.

მოზარდთა კონფლიქტები ხშირად იმის გამოც ხდება, რომ მათ არ გააჩნიათ ზუსტი ზნეობრივი წარმოდგენები, არასწორი შეხედულებები აქვთ სწავლაზე, ვაჟკაცობაზე, პატიოსნებაზე, სიკეთესა და სამართლიანობაზე, რაც შემდგომში განაპირობებს მოზარდის ქცევას.

ამ ასაკში მოზარდს ძალიან აღიზიანებს უფროსის, კერძოდ მასწავლებლის იმპერატიული ტონი, შეურაცხყოფა, იქმნება ნიადაგი მასწავლებელ-მოსწავლის კონფლიქტისა, ეს კი თავის მხრივ იწვევს მშობელ-მასწავლებლის კონფლიქტსაც. მოზარდობის ასაკის კონფლიქტები იმის გამო ხდება, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ ურთიერთობათა მართვა, შექმნილი სიტუაციის სწორად აღქმა და შეფასება, ეს განაპირობებს მათ ასოციალურ ქცევასაც.

ქცევას აქვს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები.

ქცევის შინაგანი ფაქტორებია: მოთხოვნილებები, მისწრაფებები და მიზნები, რომლებიც სათანადო ობიექტურ სიტუაციასთან შეხვედრისას გარკვეული სახის ქცევას წარმოშობს.

ქცევის გარეგან ფაქტორებად კი შექმნილი სიტუაცია ითვლება.

მთავარი მაინც ის არის, რომ მოზარდს შევუქმნათ სოციალურად ღირებული გარემო, რათა მისი სოციალ-მორალური ორიენტაციები იყოს სწორი და მისაღები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოზარდი ვარდება კონფლიქტურ სიტუაციაში იმის მიხედვით, თუ რა ინტენსივობის მოთხოვნილებები და რა სიძლიერის სოციალ-მორალური ორიენტაციები აქვს მას. კონფლიქტიც სხვადასხვა სახისაა და ხდება მაშინ, როცა მოსწავლეს საკმარისი სოციალური ღირებულებითი ორიენტაციები არ გააჩნია ან როცა მის დანაშაულებრივ ქცევას არაფერი ელობება წინ. აი, მაშინ მოზარდი ხშირად ვარდება კონფლიქტურ სიტუაციაში და იღებს გადაწყვეტილებას შექმნილი სიტუაცია გამოიყენოს მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა დასაკმაყოფილებლად, ე. ი. იგი იქცევა ისე, როგორც მისაღებია მისთვის, რაც შესაფერისია მისი თვალსაზრისისათვის. ხშირად მის მიერ განხორციელებული ქცევა ასოციალურია, უმეტეს შემთხვევაში კი დანაშაულებრივიც.

ასოციალური ქცევა თავისი შინაარსით მჭიდროდ უკავშირდება ძნელად აღსაზრდელების ცნებას, რაც მოიცავს უარყოფითს გამოვლენას ქცევაში და კონფლიქტურ მდგომარეობას, რაც ყოველთვის წინააღმდეგობრივია და გაუგებრობის ნიადაგზე ჩნდება.

კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოთხოვნილებისა და სურვილის დაუკმაყოფილებლობა, ავტორიტეტის ან პრივილეგიის დაკარგვა კოლექტივში, რასიმე აღკვეთა და სხვა.

ზოგჯერ კონფლიქტი შინაგანი ხასიათისაა. იგი ვლინდება როგორც სიტუაციის დაუძლევლობის განცდა. მოზარდი ფიქრობს, რომ ვერ გადაჭრის მის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, ვერ შეცვლის ვითარებას, რომელმაც მისი უარყოფითი განცდები გამოიწვია.

ყველაზე რთული მომენტი აღზრდაში იმის დადგენაა, თუ სად მთავრდება სიცელქე და სად იწყება სამართალდარღვევა. ამიტომ საჭიროა განვსაზღვროთ რთული მოსწავლის ხასიათი.

მოზარდთა კონფლიქტების მთავარ მიზეზად გვევლინება არასწორი საოჯახო და სასკოლო აღზრდა და ამ დროს დაშვებული შეცდომები, რომლებზედაც საჭიროა უფრო ფართო და ძირეული მსჯელობა.

**ლუიზა ლომჯარია,**
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი.

# თამარ ციციშვილი



ქართულმა საბჭოთა კინოხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თამარ იოსების ასული ციციშვილი.

თ. ციციშვილი დაიბადა 1908 წელს ქ. ოდესაში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მიიწვიეს მსახიობად თბილისის კინოსტუდიაში.

თამარ ციციშვილის, როგორც კინომსახიობის დებიუტმა, რომელიც შედგა 1936 წელს ს. დოლიძის ფილმში „დარიკო", განსაზღვრა მისი შემდგომი შემოქმედებითი გზა და დღევანდელი დღის თვალსაწიერიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ დარიკოს მეტი რომ არაფერი შეექმნა კინოში, ამ მართლაც დაუვიწყარი გმირითაც უკვდავყოფილი იქნებოდა მისი სახე. შემთხვევითი არ იყო, რომ 1937 წელს, მოსკოვში გამართულ საქართველოს კულტურის დეკადაზე განსაკუთრებით აღინიშნა მთავარი როლის შემსრულებლის, არაპროფესიონალი მსახიობის თამარ ციციშვილის მიერ ეკრანზე შექმნილი დაუოკებელი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ქართველი ქალის შთამბეჭდავი სახე.

ნაყოფიერი იყო თამარ ციციშვილის მოღვაწეობა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე, სადაც იგი გამოდიოდა 1950—1959 წლებში.

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე თამარ ციციშვილმა მრავალი საინტერესო, სილამაზითა და კდემამოსილებით გამორჩეული ეკრანული სახე შექმნა. ესენია: ნესტანი („ქაჯეთი"), მარო („დაგვიანებული სასიძო"), თამარი („მეგობრობა"), აკაკის დედა („აკაკის აკვანი"), ელენე („ბედნიერი შეხვედრა"), დარეჯანი („ორი ოჯახი"), თარაშ ემხვარის დედა („მთვარის მოტაცება"), მარიამი („შავი მერცხალი") და მრავალი სხვა. ყველა ამ სახეთა გალერეა გამომსახველია და საოცარ ჰარმონიას ქმნის, რაც დიდი მხატვრების ლ. გუდიაშვილის, ი. გრაბარის, მოსე და ირაკლი თოიძეების შთაგონების, როგორც პოეტური სრულყოფილების, მარადიული და უჭკნობი მშვენიერების წყარო გახდა.

ჩვენი თეატრისა და კინოხელოვნების სარბიელზე წარსულში მრავლად ილვწოდნენ ნათელი ნიჭით მომადლებული ქართველი ქალები. ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ აღიბეჭდა მაკო საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნიას, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ნატო ვაჩნაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის უკვდავი სახელები. დღეს ამ ნეტარხსენებულ გალერეას უერთდება თამარ ციციშვილის სახელიც.

თამარ ციციშვილი იყო სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მის მიერ გაწეული შრომის დასტურია მრავალი საპატიო ჯილდო. მაგრამ მთავარი მაინც მაყურებელთა ფართო წრის დიდი და მოკრძალებული სიყვარულია, რომელსაც სიკვდილი არ უწერია.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ლ. მ. აბაშიძე, თ. ე. აბულაძე, ე. დ. ამაშუკელი, ჭ. ი. ამირეჯიბი, ვ. რ. ახათიანი, ა. მ. ბალანჩივაძე, ი. გ. გამრეკელი, ა. ა. დვალიშვილი, ვ. ვ. დოლენკო, ლ. შ. ელიავა, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ნ. ა. ჟვანია, ნ. ძ. ხანიშვილი, ლ. ლ. გოგობერიძე, ე. ნ. შენგელაია, რ. დ. ჩხეიძე, ს. თ. ცინცაძე, გ. შ. ციციშვილი, დ. პ. წეროძე, მ. ვ. ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს, ეს კი თავის მხრივ აადვილებს ურთიერთობას მოზარდებს შორისაც.

მოზარდთა კონფლიქტები ხშირად იმის გამოც ხდება, რომ მათ არ გააჩნიათ ზუსტი ზნეობრივი წარმოდგენები, არასწორი შეხედულებები აქვთ სწავლაზე, ვაჟკაცობაზე, პატიოსნებაზე, სიკეთესა და სამართლიანობაზე, რაც შემდგომში განაპირობებს მოზარდის ქცევას.

ამ ასაკში მოზარდს ძალიან აღიზიანებს უფროსის, კერძოდ მასწავლებლის იმპერატიული ტონი, შეურაცხყოფა, იქმნება ნიადაგი მასწავლებელ-მოსწავლის კონფლიქტისა, ეს კი თავის მხრივ იწვევს მშობელ-მასწავლებლის კონფლიქტსაც. მოზარდობის ასაკის კონფლიქტები იმის გამო ხდება, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ ურთიერთობათა მართვა, შექმნილი სიტუაციის სწორად აღქმა და შეფასება, ეს განაპირობებს მათ ასოციალურ ქცევასაც.

ქცევას აქვს როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები.

ქცევის შინაგანი ფაქტორებია: მოთხოვნილებები, მისწრაფებები და მიზნები, რომლებიც სათანადო ობიექტურ სიტუაციასთან შეხვედრისას გარკვეული სახის ქცევას წარმოშობს.

ქცევის გარეგან ფაქტორებად კი შექმნილი სიტუაცია ითვლება.

მთავარი მაინც ის არის, რომ მოზარდს შევუქმნათ სოციალურად ღირებული გარემო, რათა მისი სოციალ-მორალური ორიენტაციები იყოს სწორი და მისაღები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოზარდი ვარდება კონფლიქტურ სიტუაციაში იმის მიხედვით, თუ რა ინტენსივობის მოთხოვნილებები და რა სიძლიერის სოციალ-მორალური ორიენტაციები აქვს მას. კონფლიქტიც სხვადასხვა სახისაა და ხდება მაშინ, როცა მოსწავლეს საკმარისი სოციალური ღირებულებითი ორიენტაციები არ გააჩნია ან როცა მის დანაშაულებრივ ქცევას არაფერი ეღობება წინ. აი, მაშინ მოზარდი ხშირად ვარდება კონფლიქტურ სიტუაციაში და იღებს გადაწყვეტილებას შექმნილი სიტუაცია გამოიყენოს მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა დასაკმაყოფილებლად, ე. ი. იგი იქცევა ისე, როგორც მისაღებია მისთვის, რაც შესაფერისია მისი თვალსაზრისისათვის. ხშირად მის მიერ განხორციელებული ქცევა ასოციალურია, უმეტეს შემთხვევაში კი დანაშაულებრივიც.

ასოციალური ქცევა თავისი შინაარსით მჭიდროდ უკავშირდება ძნელად აღსაზრდელების ცნებას, რაც მოიცავს უარყოფით გამოვლენას ქცევაში და კონფლიქტურ მდგომარეობას, რაც ყოველთვის წინააღმდეგობრივია და გაუგებრობის ნიადაგზე ჩნდება.

კონფლიქტის წარმოშობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოთხოვნილებისა და სურვილის დაუკმაყოფილებლობა, ავტორიტეტის ან პრივილეგიის დაკარგვა კოლექტივში, რასიმე აღკვეთა და სხვა.

ზოგჯერ კონფლიქტი შინაგანი ხასიათისაა. იგი ვლინდება როგორც სიტუაციის დაუძლევლობის განცდა. მოზარდი ფიქრობს, რომ ვერ გადაჭრის მის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, ვერ შეცვლის ვითარებას, რომელმაც მისი უარყოფითი განცდები გამოიწვია.

ყველაზე რთული მომენტი აღზრდაში იმის დადგენაა, თუ სად მთავრდება სიცელქე და სად იწყება სამართალდარღვევა. ამიტომ საჭიროა განვსაზღვროთ რთული მოსწავლის ხასიათი.

მოზარდთა კონფლიქტების მთავარ მიზეზად გვევლინება არასწორი საოჯახო და სასკოლო აღზრდა და ამ დროს დაშვებული შეცდომები, რომლებზედაც საჭიროა უფრო ფართო და ძირეული მსჯელობა.

ლუიზა ლომჯარია,
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი.

# ციციშვილი

მოსკოვში გამართულ საქართველოს კულტურის დეკადაზე განსაკუთრებით აღინიშნა მთავარი როლის შემსრულებლის, არაპროფესიონალი მსახიობის თამარ ციციშვილის მიერ ეკრანზე შექმნილი დაუოკებელი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ქართველი ქალის შთამბეჭდავი სახე.

ნაყოფიერი იყო თამარ ციციშვილის მოღვაწეობა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე, სადაც იგი გამოდიოდა 1950—1959 წლებში.

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე თამარ ციციშვილმა მრავალი საინტერესო, სილამაზითა და კდემამოსილებით გამორჩეული ეკრანული სახე შექმნა. ესენია: ნესტანი („ქაჯეთი"), მარო („დაგვიანებული სასიძო"), თამარი („მეგობრობა"), აკაკის დედა („აკაკის აკვანი"), ელენე („ბედნიერი შეხვედრა"), დარეჯანი („ორი ოჯახი"), თარაშ ემხვარის დედა („მთვარის მოტაცება"), მარიამი („შავი მერცხალი") და მრავალი სხვა. ყველა ამ სახეთა გალერეა გამომსახველია და საოცარ ჰარმონიას ქმნის, რაც დიდი მხატვრების ლ. გუდიაშვილის, ი. გრაბარის, მოსე და ირაკლი თოიძეების შთაგონების, როგორც პოეტური სრულყოფილების, მარადიული და უჭკნობი მშვენიერების წყარო გახდა.

ჩვენი თეატრისა და კინოხელოვნების სარბიელზე წარსულში მრავლად იღვწოდნენ ნათელი ნიჭით მომადლებული ქართველი ქალები. ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ აღიბეჭდა მაკო საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნიას, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ნატო ვაჩნაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის უკვდავი სახელები. დღეს ამ ნეტარხსენებულ გალერეას უერთდება თამარ ციციშვილის სახელიც.

თამარ ციციშვილი იყო სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მის მიერ გაწეული შრომის დასტურია მრავალი საპატიო ჯილდო. მაგრამ მთავარი მაინც მაყურებელთა ფართო წრის დიდი და მოკრძალებული სიყვარულია, რომელსაც სიკვდილი არ უწერია.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ფოფხაძე, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ლ. მ. აბაშიძე, თ. ე. აბულაძე, ე. დ. ამაშუკელი, ჟ. ი. ამირეჯიბი, ვ. რ. ასათიანი, ა. მ. ბალანჩივაძე, ი. გ. გამრეკელი, ა. ა. დვალიშვილი, ვ. ვ. დოლენკო, ლ. შ. ელიავა, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ნ. ა. ჟვანია, ნ. ქ. სანიშვილი, ლ. ლ. ღოღობერიძე, ე. ნ. შენგელაია, რ. დ. ჩხეიძე, ხ. თ. ცინცაძე, გ. შ. ციციშვილი, დ. პ. ჭეროძე, მ. ვ. ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაბადებიდან 100 წლისთავის გამო

# პირველი ქართველი ქიმიკოსი

1918 წელს უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ნინო ციციშვილი, რომელიც იმ დროს საქართველოში ერთადერთი ქიმიკოსი ქალი ყოფილა სპეციალური განათლებით, მხარში ამოსდგომია პეტრე მელიქიშვილს და მასთან ერთად დიდ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

პროფესორ პ. მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1927 წლიდან ნინო ციციშვილი სათავეში ჩაუდგა ორგანული ქიმიის კათედრას. რაოდენ საპასუხისმგებლო იყო ახალგაზრდა ნინო ციციშვილისათვის ამ საქმის განგრძობა, მაგრამ მისმა გამჭრიახობამ, გამრჯელობამ, ერუდიციამ და საქმის უსაზღვრო სიყვარულმა შეაძლებინა მას ბრწყინვალედ გასძღოლოდა და გაეძლიერებინა კათედრა, რომელსაც 28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და რომელიც 1955 წლიდან გადააბარა ერთ-ერთ უსაყვარლეს მოწაფეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ილია გვერდწითელს. (დღეს კათედრას უძღვება ახალგაზრდა პროფესორი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი შოთა სამსონია).

ნინო ციციშვილის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით მრავალმა მეცნიერმა გაიკვლია გზა, ხოლო შემდგომ მისმა მოწაფეებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქიმიის მეცნიერების განვითარებას უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში. საქართველოს მრავალ კუთხეში მუშაობენ ნ. ციციშვილის აღზრდილი ქიმიკოსები, ექიმები, ბიოლოგები თუ გეოლოგები.

პროფესორ ნინო ციციშვილის მოღვაწეობა მარტო უნივერსიტეტით არ შემოიფარგლებოდა. უნივერსიტეტიდან სამედიცინო ინსტიტუტის გამოყოფისთანავე იგი ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგედ და სტომატოლოგიის ინსტიტუტის სამეცხიერო კათედრის მოსამზადებლად მიიწვიეს.

ნ. ციციშვილის ძირითადი მეცნიერული შრომები ეძღვნება საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ქიმიურ გამოკვლევას. მის მიერ მოწოდებულმა პრაქტიკულმა რეკომენდაციებმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ხილის ახალი ჯიშების გამოყვანის საქმეს.

ნინო ციციშვილის შემდეგი გამოკვლევები ეძღვნება საქართველოს მცენარეული ნედლეულის შესწავლას ალკალოიდების შემცველობაზე. მან დიდი ამაგი დასდო ქიმიური ტექნოლოგიის შექმნას. პროფესორ ნინო ციციშვილს სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს გამჭრიახობა, შრომის უნარი, ქართული უნივერსიტეტისადმი სიყვარული და თავდადება. მისი ყოფილი სტუდენტი, შემდგომში კი თანამშრომელი, ქიმიის ფაკულტეტის დოცენტი დალი წაქაძე გვიამბობს: „სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჩვეული სიხალისით და საქმის სიყვარულით ემსახურებოდა თავის სათაყვანებელ უნივერსიტეტს ქალბატონი ნინო, რომელმაც უნივერსიტეტში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე გაიარა გზა პრეპარატორობიდან კათედრის გამგემდე“.

1970 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი.

ორგანული ქიმიის კათედრის ბუნებრივ ნაერთთა კვლევის ლაბორატორიაში დღესაც დგას ქალბატონ ნინოს მაგიდა. იგი ისეთივეა, როგორიც იყო მაშინ... მაგიდის მინის ქვეშ ძევს 1970 წლის კალენდარი, ქალბატონ ნინოს ხელნაწერი — უკანასკნელი მისალმება პირველკურსელებისადმი, და პატარა სურათი, რომელიც მან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გადაიღო ლაბორატორიაში.

ნინო ციციშვილის უდიდესი მადლიერება, პატივისცემა და სიყვარული მისი დიდი მასწავლებლის პროფესორ პეტრე მელიქიშვილისადმი ყოველთვის მისაბაძი იყო. ასეთივე სიყვარულით უპასუხებდნენ ქალბატონ ნინოს მისი მოწაფეები — აწ განსვენებული პროფესორი ილია გვერდწითელი და ახმედ ნოღაიდელი. ასეთივე სიყვარულით განაგრძობს მის დაწყებულ საქმეს ნ. ციციშვილის მოწაფე დოცენტი თამარ კიპარენკო. ასეთივე პატივისცემა ეუფლებათ ქალბატონ ნინოსადმი ორგანული ქიმიის პროფილის სტუდენტებსაც, რომლებიც დღენიადაგ მისი წიგნებით სარგებლობენ.

— „ქალბატონი ნინო, — გვიამბობს ქიმიის ფაკულტეტის დოცენტი ზეინაბ ტაბიძე — პირადი მაგალითით ზრდიდა თითოეულ სტუდენტს. არ უყვარდა ჭკუის სწავლება. უაღრესად ტაქტიანი იყო. ამის მსგავსი მაგალითი ბევრი მახსოვს როგორც ჩემთან ურთიერთობაში, ისე სხვების მიმართ. ამიტომ არის, ალბათ, რომ დღემდე ვერ ავიღე ხელში კალამი, ვერა და ვერ დავწერე მასზე მოგონება. ჯერაც ვერ შევგუებივარ მასთან განშორებას, რომელიც განუმეორებელ ტკივილად შემომრჩა. ქალბატონ ნინოს სახით დავკარგე არა მარტო აღმზრდელი და მშობელივით ახლობელი, არამედ დიდი ადამიანი, მოქალაქე და პიროვნება. როცა დედა გარდამეცვალა, სამუდამოდ ხელი ჩავიქნიე ცხოვრებაზე, რადგან მის გარდა აღარავინ გამაჩნდა ქვეყნად... ამ მდგომარეობიდან ქალბატონმა ნინომ გამომიყვანა. თუ დღეს რაიმეს მივაღწიე და ვარსებობ, ეს მხოლოდ მისი დამსახურებაა...

წარუშლელია ქალბატონ ნინოს სახელი მათთვის, ვისაც საქმე ჰქონია მასთან, როგორც ლექტორთან, როგორც გამომცდელთან, სადიპლომო შრომის ხელმძღვანელთან, კონსულტანტთან და საკვალიფიკაციო შრომის ხელმძღვანელთან“.

1975 წელს ქიმიის ფაკულტეტზე აღინიშნა ნინო ციციშვილის ხსოვნის დღე. სულ მალე უნივერსიტეტი მისი დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღს აღნიშნავს.

თამარ გომართელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვილი ბავშვი–თამბაქოს მწეველი?!

წარმოუდგენელია? მაგრამ ფაქტია, მხოლოდ საჭიროა დაემატოს სიტყვა პასიური — დიახ, ოჯახში სადაც მშობლები თამბაქოს ეწევიან და ჰაერი თამბაქოს კვამლითაა გაჟღენთილი — ბავშვი თამბაქოს პასიური მწეველი ხდება. უფრო მეტიც, არაპირდაპირი გაგებით, პასიური „მწეველი შეიძლება იყოს ნაყოფიც, თუ დედა ორსულობის დროს სიგარეტს ეწევა; გარდა იმისა, რომ ნიკოტინი დედის სისხლიდან ნაყოფის ორგანიზმში გადადის, ნიკოტინის გავლენით პლაცენტის სისხლძარღვები ვიწროვდება და ფერხდება ჟანგბადის მიწოდებაც. დაბოლოს, ნიკოტინი, ეს უძლიერესი შხამი, რომლის მიმართ მზარდი ორგანიზმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა, ჩვილის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს დედის რძის საშუალებითაც.

ორგანიზმში ნიკოტინის დიდი რაოდენობით მოხვედრისას ვითარდება მწვავე მოწამვლის სურათი. იწყება ღებინება, ფაღარათი, გულის მუშაობა ჯერ ნელდება, შემდეგ ხშირდება, სუნთქვა კი პირიქით — დასაწყისში გახშირებულია, შემდეგ გაიშვიათებული; ხდება მხედველობის და სმენის მოშლა, იწყება კრუნჩხვები და სუნთქვის ცენტრის დამბლის შედეგად ვითარდება სიკვდილი.

დადგენილია, რომ თამბაქოს კვამლით სავსე ოთახში ერთი საათით სუნთქვა დაახლოებით იგივეა, რაც 3-4 სიგარეტის მოწევა. თამბაქოს კვამლი, გარდა ნიკოტინისა, შეიცავს ისეთ ძლიერ შხამს, როგორიცაა მხუთავი აირი და სინილის მჟავა. აგრეთვე, ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევენ ავთვისებიან სიმსივნეს. ამასთანავე, მწეველის მიერ ამონასუნთქ და პასიური მწეველის მიერ ჩასუნთქულ ჰაერში მავნედმოქმედი ნივთიერებების კონცენტრაცია მეტია — პასიური მწეველი ხომ ფილტრით არ სარგებლობს!

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არ არის ორგანო, რომელზედაც არ მოქმედებდეს ნიკოტინი. იგი უარყოფითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, გულის კუნთზე და სისხლის მიმოქცევაზე, კუჭნაწლავის და სასუნთქი სისტემის ლორწოვნებზე, ღვიძლსა და თირკმელებზე, სისხლის შემადგენლობაზე და იმუნოლოგიურ მაჩვენებლებზე.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბავშვები, რომელთა მშობლებიც თამბაქოს ეწევიან, ხშირად უჩივიან თავის ტკივილს და უმადობას. ხშირია მათში ცვლილებები ნერვული სისტემის მხრივ: ხშირი გაღიზიანება, ნერვიულობა, ჭირვეულობა, ყურადღების შესუსტება, კუჭ-ნაწლავის ფუნქციის მოშლა და ა. შ. მწეველთა ოჯახებში ბავშვები ორჯერ და უფრო მეტად ავადდებიან სასუნთქი სისტემის დაავადებებით და თან ავადმყოფობაც მძიმედ მიმდინარეობს. მწეველის მიერ ამონასუნთქი ნახშირორჟანგიანი თამბაქოს კვამლი განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს ჩვილ ბავშვებზე; მისი გავლენით იცვლება ბავშვის სისხლის შემადგენლობა — ჰემოგლობინი იშლება, რის შედეგადაც ქვეითდება ქსოვილებში ჟანგბადის მიტანის უნარი და ფერხდება ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარება, პირველ რიგში კი მისი ცენტრალური ნერვული სისტემის, ტვინის განვითარება და მომწიფება.

თამბაქოს კვამლს განსაკუთრებით დიდი ვნება მოაქვს ბავშვისათვის მაშინ, როდესაც იგი ნაკლებ დროს ატარებს სუფთა ჰაერზე, ჩაკეტილია ოთახში და ბინაც იშვიათად ნიავდება. ასეთ პირობებში კვამლში შემავალი შხამების უარყოფით მოქმედებას ემატება ჰაერში ჟანგბადის ნაკლები შემცველობა.

ოჯახში, სადაც არ არის დაცული ყოფაცხოვრების ჰიგიენური წესები, თამბაქოს მწეველის მიერ უგულებელყოფილია ოჯახის სხვა წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვის ინტერესები, ცხადია მეტი შესაძლებლობა იქმნება ბავშვში ნიკოტინის ინტოქსიკაციის სინდრომის განვითარებისა.

თამბაქოს წევასთან ბრძოლა ბავშვის ჯანმრთელობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი პირობაა!

მიხეილ მჭედლიშვილი,
პროფესორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორალი

# დედის დღიური

დღე-ღამის ჭიდილში განთიადი იბადებოდა. ცის მნათობნი ტოვებდნენ ღამის საგუშაგოს და დღის მანათობელს უთმობდნენ ადგილს. ღამენათევი, ახლად მითვლემილი გამომძიებლის ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. მან ყურმილი აიღო და ნამძინარევი ხმით ჩასძახა:

— გისმენთ, გამომძიებელი დევიძე!

— მკვლელობაა ლერმონტოვის ქუჩის № 12-ში! — აცნობა უბნის ინსპექტორმა.

ახლავე მოვდივარ!

ოროთახიანი ბინა. ოთახში შესულ გამომძიებელს უსიამო სუნი ეცა. იატაკს სისხლის შავი ლაქა ზოლად გავლებოდა და საწოლის ქვეშ დატბორილიყო. დევიძემ ოთახს თვალი მოავლო და იკითხა:

— სად არის ოჯახის პატრონი?

— საავადმყოფოშია! — უპასუხა მილიციის ინსპექტორმა.

— დაჭრილია?

— არა, უმძიმეს მდგომარეობაში დაგვხვდა და საავადმყოფოში გადავიყვანეთ!— გამომძიებელი ჩააფიქრა შექმნილმა ვითარებამ. მან გულდასმით გასინჯა ყოველი ნივთი. ოთახში სრული წესრიგი იყო. მისი აზრით, ოჯახში მარტო მანდილოსანს უნდა ეცხოვრა, რადგან კარადაში მხოლოდ ქალის ტანსაცმელი ეკიდა. აქ კაცის მოსვლამდე ქალს სძინებია. ქვეშაგები იყო გაშლილი... ვინაა იგი? საიდან გაჩნდა აქ გამთენიისას? — ფიქრი ექსპერტის მოსვლამ შეაწყვეტინა.

* * *

...საავადმყოფოში სასწრაფოდ მიყვანილ ნინოს ექიმები გარს შემოეხვივნენ. კოლეგები თვალს არ უჯერებდნენ, რომ მათი ექიმი ამ ტრაგიკული საქმის მსხვერპლი იყო. ავადმყოფი შფოთავდა, მთელი ღამე გონს ვერ მოიყვანეს.

დევიძე თითქმის ყოველ საათში რეკავდა, კითხულობდა დევსურაშვილის მდგომარეობას, შეძლებდა თუ არა მასთან საუბარს, მაგრამ მოლოდინი უიმედო აღმოჩნდა.

გამომძიებელმა მთელი ღამე სამუშაო ოთახში გაატარა, ვერ ამოხსნა უცნაურობით შემოფარგლულ მოქმედ პირთა ურთიერთკავშირი.

დილით კი საავადმყოფოში მისულს, უმალ მოახსენეს — დევსურაშვილი გარდაიცვალაო.

დევიძე დაჰყურებდა მიცვალებულს და ფიქრობდა, ნეტავ სად მინახავს ეს სახე, საიდან ვიცნობ, ან ვის ვამსგავსებ?

განსვენებულს ნაღველი აღბეჭდოდა სახეზე. მარჯვენა ლაწვიდან ყურის ძირამდე გასდევდა ნაიარევი. ომის სამახსოვროდ მიღებული წარუშლელი კვალი დარჩენოდა სანდომიან სახეს. თვალები ოდნავ ღია ჰქონდა, გაყინულ ბაგეზე ღიმილი შესციებოდა, დათოვლილი თმები შუბლზე ტალღებად გადმოყროდა და უფრო მიმზიდველს ხდიდა სახეს.

— ბატონო ლევან, აი, ეს ბარათი ჰქონდა კოფთის ჯიბეში ნინო ექიმს!

— მომეცით!.. — მან ბარათი საქაღალდეში შეინახა. — მიცვალებული არ გადაასვენოთ ბინაში, — დაუბარა ექიმს და წავიდა. სამუშაო ოთახში მაგიდას მიუჯდა, ბარათი გახსნა და კითხვას შეუდგა:

— ჩემო საყვარელო და ერთადერთო დაიკო ნანო, ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. რამდენი რამ მაქვს შენთან სათქმელი. ალბათ ხშირად გახსენდები და იცრემლები. ძვირფასო დაიკო, ამ ბარათს ძალიან აღელვებული ვწერ. ჩემმა წერილმა შეიძლება გაგახაროს და შემდეგ გაგამწაროს კიდეც! თუ ჩამოხვალ თბილისში, ყველაფერს გაიგებ ჩემს შესახებ. თუ ცოცხალს ვერ მომისწრებ, ერთი თხოვნა შემისრულე: სოფელში არ წამასვენოთ. თბილისში, ვერის სასაფლაოზე მიმიჩინეთ სამუდამო სამყოფელი. მარად შენი მოსიყვარულე დაიკო ნინო!..

— ფიქრი მოეძალა დევიძეს. ნეტავ რა აწუხებდა ამ ადამიანს? რატომ იდგა შორს ახლობლებისაგან? თვით ერთადერთ დასთანაც არ ჰქონია კავშირი. გამომძიებელი და მისი თანაშემწე დევსურაშვილის ბინაზე მივიდნენ. შეუდგნენ მკვლელობის ადგილის გულდასმით შემოწმებას. საწოლის ქვეშ იპოვეს ცეცხლსასროლი იარაღი. თანაშემწემ წიგნების კარადა გამოაღო და დაიწყეს თაროების შემოწმება. მეოთხე თარო სანახევროდაც არ ჰქონდათ გასინჯული, რომ ლევანმა წიგნების უკან რვეული შენიშნა; გადმოიღო, გადაშალა, იქიდან პატარა ბავშვის პერანგი გადმოვარდა. პერანგს მარცხენა მხარეს ამოქარგული ჰქონდა ორი ასო „ლ. ქ.".

„დღიური" ნ. ი. დევსურაშვილი.

პირველი ჩანაწერი.

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ, როდესაც ჩემი პირველი სიყვარული გვერდით მეგულებოდა. შევხაროდით ერთიმეორეს, გაჭირვებით ვსწავლობდით, მე — სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, ის კი პოლიტექნიკურში. ობლები დავრჩით. მე ერთი ციცქნა და მყავდა, ის კი სულ მარტო, დედისერთა იყო. და მაინც ბედნიერები ვიყავით. მომავალს ოცნებებით ვხატავდით. მჯეროდა მისი და მივენდე. ჩემი ერთგულება, სიყვარული ბოროტად გამოიყენა, არ შემებრალე, შორს გავიქერით, როდესაც შევეკითხე, რას აპირებ, ბავშვი?

— ნინო, ჯერ არ მაქვს სამაგისო პირობები, რომ ოჯახი შევქმნა!

— ბავშვს რას ეუბნები?.. მას მამა უნდა, მე კი...

— თვითონ მოიფიქრე რამე!.. მარტოს გაგიჭირდება, საერთოდ ცხოვრების ბორკილად ნუ გაიხდი შვილს!..

— ეგ არის ჩვენი სიყვარულის პასუხი შენგან??.

* * *

უკანასკნელი ჩანაწერი!

შურისძიებამ ამაღებინა ხელში კალამი, შვილზე უფლების აყრამ კი იარაღი!...

იქნებ დედის დღიური წაიკითხოს ჩემმა ბიჭმა, ჩემმა დათომ. ან კიდევ მრავალმა სხვამ! ჩემო მკითხველო, რის თქმასაც დასაწყისში მოვერიდე, ახლა გულახდილად ვწერ. ვწერ იმიტომ, რომ სიმართლე იცოდეთ:

1941 წლის 7 ივლისს ბიჭი შემეძინა, მე და ჩემი პირმშო მივეკედლეთ ერთ ხანშიშესულ ქალს, რომელიც საავადმყოფოში გავიცანი. მარტოხელას ჩემი გულისტკივილი გავანდე. მან მირჩია, ჩემთან გადმოდიო. მე და დათო ერთხანს მასთან ვცხოვრობდით. დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. მიჭირდა, ძალზე მიჭირდა. შეიძლება ბევრმა დედამ დამძრახოს, უგულო მშობელი მიწოდოს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. გადავწყვიტე, ჩემი დათო გამეშვილებინა. ბევრი ფიქრის შემდეგ კეთილ მეზობლებს, უშვილო ცოლ-ქმარს მივანდე ჩემი ბიჭის ბედი. ბავშვს შევუკერე ორი პერანგი. მარცხენა მხარეს პერანგზე ამოვუქარგე ორი ასო „ლ. ქ." ერთი ზედ ჩავაცვი, ერთი მე დავიტოვე! 2 სექტემბერს ღამის ოთხ საათზე ჩემი უდარდელი ერთა თბილად შევფუთე და მეზობლის სახლის კართან დავტოვე. რა საშინელი იყო ეს წამები ჩემთვის! დაფერფლილი დედა უგულო მშობლის როლში, თითქოსდა არ მქონია დედაშვილური სიყვარულის გრძნობა!.. თავს ვებრძოდი, ჩემო მკითხველო, თვალცრემლიანი, ვიდექი კედელს მოფარებული და სიმწრით ვიხოკავდი სახეს. ბავშვმა ტირილი დაიწყო, მე თავშეუკავებლად გავექანე მისკენ, ამ დროს კარი გაიღო და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალო, გამოიხედე, ნატო! მოდი, ღმერთმა შვილი გამოგვიგზავნა. ჩქარა, შევიყვანოთ სახლში! — კარები მიიხურა. კარებს იქით დარჩა ჩემი ბიჭი, კარებს აქეთ მარტოდ მე, მიუსაფარი დედა! მეორედ დაიხურა ჩემთვის სიყვარულის კარი! ალბათ არანაირი გრძნობის ღირსი არ ვიყავი ამ ცოდო-მადლიან ქვეყანაზე! ფრონტზე წავედი. დღედაღამ თვალცრემლიანი ვიყავი, თვალწინ მედგა დათუნა, მაგრამ მე მისგან, ის ჩემგან, შორ-შორს ვიყავით.

ფრონტიდან თბილისში დავბრუნდი, არ მასვენებდა შვილის ლანდი. მაგრამ ამაოდ. წლები იფურცლებოდა, გავჭალარავდი... როგორც იქნა, მივაგენი ჩემს დათოს! მათთან ახლოს ბინა შევიძინე. ჩემი ერთა დავაუკაცებულიყო. იურიდიული ფაკულტეტი დაემთავრებინა და გამომძიებლად მუშაობდა. დათოსთვის ლევანი დაურქმევიათ. ვუთვალთვალებდი, თითქმის კვირაში სამჯერ მიხდებოდა ჩემი შვილის ნახვა. ვხარობდი მისი სიცოცხლით, მანადგურებდა ჩამორთმეული ბედნიერება, ვგრძნობდი, რომ ყოველი შეხვედრა დათოსთან სიცოცხლის დღეებს მითვლიდა! დედა ვიყავი და შვილს ამას ვერ ვუმხელდი! პირისპირ ვერ შევხვდი, არ მეყო გამბედაობა. არ მსურდა, ჩემს ბიჭს გაეგო, ულირსი მშობლების ნამოქმედარი, რომ იგი მშობელმა დედამ ქუჩაში დატოვა! მინდა პატიება ვთხოვო ჩემს დათოს, ჩემს პირველ და უკანასკნელ სიყვარულს, რომ ბოლოს გავუმხილო ის, რაც წლების მანძილზე დაკოდილი გულით დედამ ატარა. დღენიადაგ ვუთვალთვალებდი ჩემს ერთას, სამსახურში მივდიოდი მასთან და სარკმლიდან ვუმზერდი. ეს მზერა ბედნიერებას მანიჭებდა.

გუშინ ჩემი სიხარულის მოლოდინში როგორ შემომაღამდა ქუჩაში მდგომს, არ მიგრძვნია. ნასვამი კაცის ღიღინს ყური მივუგდე. ხმა მეცნაურა. ის იყო, ვინც სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადამიქცია! მივუახლოვდი, სახეში ჩავხედე და... იოსებ, მივაძახე მას. მან გაოგნებული თვალებით მომაპყრო მზერა.

— უგულო ადამიანო?!. წადი ახლა და ამაღამ პირველ საათზე გელოდები ლერმონტოვის ქ. №12-ში. არ დააგვიანო. დასტური მივიღე.

სახლში მისულს, რა დამაწყნარებდა. სულს მიფორიაქებდა იმის ფიქრი, რომ ალსასრული მიახლოვდებოდა, მალე სამუდამოდ ვტოვებდი შვილს, რომლისთვისაც დედობა არ გამიწევია, მშობლიური ვალი არ მომიხდია, მწვავდა შვილზე უუფლებობა!..

ეს არის ჩემი ალსარება, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჩემო საყვარელო შვილო დათო!..

* * *

ცის ტატნობი იცრიცებოდა, როდესაც ექიმ ნინო დევსურაშვილის ოთახში სროლის ხმა გაისმა... შეწყდა იოსებ ქართველიშვილის გაუკულმართებული სიცოცხლე.

* * *

დღის სინათლემ შემოაჭიტა გამომძიებლის სამუშაო ოთახში. ლევანმა დაამთავრა დედის დღიურის კითხვა. გაშლილი შუბლი განცდის ოფლმა დაუცვარა. მძიმე ფიქრი შემოეჯარა ახალგაზრდა გამომძიებლის გონებას. სარკმლის მიღმა ირეკლებოდა ჭაღარათმიანი ქალის წუთით გაელვებული ნაღვლიანი სახე!.. რას ვიფიქრებდი, დედა ყოფილა ჩემი! მშობლიურმა სიყვარულმა ქვეყანა შემოატარა, ყოველგვარი ჭირ-ვარამი გადაატანინა, სიცოცხლის ბოლოს შურისძიებაც გააბედვინა და თვითონ მკვდარი, შვილის გასასამართლებელი გახდა!

პროკურორ უშვერიძის ბინაში ტელეფონი აწკრიალდა.

— უშვერიძე გისმენთ!

— ბატონო თამაზ... მე... მე...

— ლევან, შენ? რა მოხდა?!

— სხვისი ცხოვრების ავ-კარგს ვიკვლევდი და ჩემი ცხოვრება ამოტივტივდა!

— არ მესმის, ლევან, ამით რისი თქმა გინდა?

— დღიური.... დედის დღიური!... ყველაფერს გეტყვით, ბატონო თამაზ.

**ანიკო პაპაშვილი**

# კროსვორდი



შეადგინა ც. კახრაძემ

**თარაზულად:** 7. დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება. 8. ნაგებობის, გეგმის მეორეხარისხოვანი ელემენტების სახეცვლილება ძირითადი ჩანაფიქრის, შინაარსის შეუცვლელად. 9. გულის მოძრაობის ჩაწერა სპეციალური აპარატით. 11. კოჭის, ძელის, ან ფიცრის სიგრძივ ამოღრუებული ჭრილი. 12. ქართული სუნამო. 13. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო. 16. ბურთებით და ჯოხებით თამაში სპეციალურ მაგიდაზე. 17. ხალხურ ინსტრუმენტებსა და თემებზე დაწერილი ნაწარმოები. 18. ერთმანეთთან შეერთებული რამდენიმე სხვადასხვა ტიპისაგან შემდგარი მანქანა. 20. გეოდეზიური ხელსაწყო. 22. ესპანეთის ქალაქი. 24. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული. 25. ბოკვნისკარტა ფრინველი. 26. ვაზის ჯიშების შემსწავლელი მეცნიერება. 29. მაგნიტი. 30. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა.

**შვეულად:** 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება. 2. კატარის დედაქალაქი. 3. ვაჟა-ფშაველას პოემის პერსონაჟი. 4. ქართველი პოეტი. 5. მთელ სიგრძეზე გადებული გემის ფსკერის ძირითადი კოჭი. 6. გეომეტრიული სხეული. 9. ნივთიერების სიმკვრივის ხარისხი. 10. ადამიანის ბიოლოგიური ბუნების, მისი წარმოშობის, რასების შემსწავლელი მეცნიერება. 14. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული სამი სურათი. 15. მდინარე ახლო აღმოსავლეთში. 19. ქალაქის, ციხე-სიმაგრის ან სხვა რაიმე ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი. 21. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები. 22. გერმანელი მწერალი და რეჟისორი. 23. მონონების, ალტაცების კოლექტიური გამოხატვა. 27. ტურგენევის მოთხრობა. 28. ქიმიური ელემენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭრელ-ჭრელი ამბები

ამ ცოტა ხნის წინათ ფიქრობდნენ, რომ კულინარული რეცეპტების ყველაზე ძველი კრებული ეკუთვნის რომაელ მზარეულებს. მაგრამ აი, იელის უნივერსიტეტის (აშშ) წიგნთსაცავში გაშიფრეს თიხის ფირფიტა და წაიკითხეს მესოპოტამიელ მზარეულთა რეცეპტები. ეს აღმოჩენა მიეკუთვნება 1700 წელს ჩვენს ერამდე და შეიცავს სუფის 100-ს, ყველის დამზადების 80-ს, პურის სახეობის 300-ს რეცეპტს.

შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურათაგან ყველაზე პოპულარული წიგნია დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“.

სამხრეთ ინდოეთის შტატ კერალაში ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა დაბადებიდან 84 წლის შესრულება. ამ ხნის ადამიანი სავსე მთვარეს ათასჯერ შესწრებია. ამიტომაც ასეთი პიროვნებები კერალელთა განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ.

ყველაზე ხანდაზმული მძღოლი მსოფლიოში, რომელმაც თავის სიცოცხლის მანძილზე 1 მილიონი მილი გაიარა, გახლავთ ინგლისელი ჯონ მელდუმი. მან თავი დაანება მანქანის მართვას მას შემდეგ, რაც პოლიციამ დააჯარიმა გაუფრთხილებლობისათვის. ეს იყო პირველი შემთხვევა 70 წლის მანძილზე. მას ხომ 101 წელი შეუსრულდა.

ბერლინში მოეწყო ვეტერან-მცურავთა საზოგადოების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. სადაც ყველაზე ხნიერი მონაწილე იყო 89 წლის გერტრუდა შტელიხი ცვიკაუდან. მან 50 მეტრი 1 წუთსა და 37.52 წამში გასცურა.

მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მკითხველი და ორატორია ფრანგი ტრამონი. მან 1 წუთში 400 სიტყვისგან შემდგარი ტექსტი წაიკითხა, ხოლო 563 სიტყვიანი მოხსენებაც 1 წუთში წარმოთქვა.

სამშენებლო ინდუსტრიაში ყველაზე საშიშ ინსტრუმენტად ითვლება ჩაქუჩი. უბედურ შემთხვევათა 60 პროცენტი მის წილად მოდის. ამ დასკვნამდე მივიდნენ სტოკჰოლმის ტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტები საწარმოო ტრავმების მრავალწლიანი შესწავლის შემდეგ.

# კულინარია

## ფაფისებური „ცომი“

ყველის, მოხარშული ქათმის ხორცის ან ნებისმიერი სხვა ხორცის ნაჭრების, სოსისის და ბადექონში გახვეული მოხარშული ხორცის ფარშის ამოსავლებად გამოიყენეთ შემდეგნაირად მომზადებული „ცომი“.

3 კვერცხის გული კარგად ათქვიფეთ 1 ჩაის ჭიქა მაწონში, დაუმატეთ კარგადვე ათქვეფილი (აქაფებული) 3 ცილა, თანდათანობით შეურიეთ ჭიქანახევარი პურის ფქვილი, მიღებულ „ცომში“ ამოავლეთ ბადე-ქონში გახვეული ფარშის, ხორცის ან ყველის ნაჭრები და შეწვით ადუღებულ ზეთში (მასას ზეთი უნდა ფარავდეს). ცომი რომ შეწითლდება, გადმოალაგეთ თეფშზე ან შესაფერის ლანგარზე. შეგიძლიათ შეალამაზოთ არაყნით.

ბადე-ქონი ჯერ 4-5 წუთის განმავლობაში წამოადუღეთ, გააცივეთ, დაჭერით სასურველ ზომაზე და შემდეგ გაახვიეთ ფარშში.

## კვახის ფაფა

გათლილი და თესლგამოცლილი 500 გრამი კვახი გარეცხეთ, დაჭერით პატარა ოთხკუთხა ნაჭრებად, მოათავსეთ სქელ ძირიან ქვაბში, დაასხით ორი ჩაის ჭიქა ცხელი წყალი ან რძე, უყავით მცირეოდენი (გემოვნებით) მარილი, 5 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი, შედგით ცეცხლზე და მიიყვანეთ ადუღებამდე. 2-3 წუთის შემდეგ დაუმატეთ 9 სუფრის კოვზი გარეცხილი წიწიბურა, ან 5 სუფრის კოვზი ბრინჯი და კარგად მოხარშეთ, ვიდრე არ მიიღებთ ნამდვილ ფაფისებურ მასას. (მიაქციეთ ყურადღება რომ ძირზე არ მიიწვას). რომ მომზადდება, დაუმატეთ 50 გრამი კარაქი ან 5 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი.

## შემწვარი კვახი კვერცხით

500 გრამი ოდნავ უმი კვახი დაჭერით თხელ ნაჭრებად, ამოსვარეთ პურის ფქვილში და შეწვით ზეთში (ორივე მხრიდან), შემდეგ მოასხით ზემოდან ნახევარ ჭიქა რძეში ათქვეფილი 4-5 კვერცხი და შედგით გაზქურის ღუმელში. რომ შეიბრაწება, გადმოიღეთ, შეაგრილეთ და სუფრაზე მიტანამდე მორთეთ არაყნით. მოაყარეთ ზემოდან 50 გრამი წვრილად დაჭრილი კამა.

## კვახი ბრინჯით და ქიშმიშით

მასალა: 500 გრამი კვახი, ჭიქანახევარი ბრინჯი, 1 ჩაის ჭიქა ქიშმიში, 150 გრამი კარაქი ან 1 ჩაის ჭიქა ზეითუნის ზეთი, ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი ან უფრო მეტი (გემოვნებით).

500 გრამი ოდნავ უმი კვახი დაჭერით ოთხკუთხედ ნაჭრებად, გაყავით 2 ტოლ ნაწილად და ერთი ნაწილი განალაგეთ სქელძირიან ქვაბში. მოაყარეთ ზემოდან ასევე ოდნავ უმი ბრინჯის ნახევარი, შემდეგ შაქრის ნახევარი და ნახევარი ჩაის ჭიქა ქიშმიში. შემდეგ ყველაფერი ისევ გაიმეორეთ და ბოლოს მოასხით ზეთი ან მოალაგეთ თავზე თხლად დაჭრილი კარაქი, დაახურეთ თავსახური, შედგით ძალიან ნელ ცეცხლზე და გააჩერეთ 20-30 წუთი (ვიდრე ბრინჯი მოიხარშებოდეს).

ც. ბველესიანი

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64. ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 5.10.88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.11.88 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 170.000. შეკვ. 2538, უე 01563. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის საპატიო მოქალაქეები (მარცხნიდან): ბორის პაიჭაძე, მელორ სტურუა, ვიქტორ გოცირიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე დათაშვილი და მედეა ჯაფარიძე.



სპარტაკ ჯანიაშვილის ფოტოები



6 31/206